საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 აპრილი, 2014 წელი.

№73 (7454)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნატოს დაცვის გარეშე საქართველო შეიძლება მსოფლიოს რუკიდან გაქრეს!!!

8

დავით უსუფაშვილმა დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა, „დაამუშაონ კრეატიული გადაწყვეტილებანი“ საქართველოს ატლანტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით

ბენდუქიძის საგაზაფხულო ნოკდაუნი

ამბავი ნამინისტრალის დიდი მუცლისა და პატარა ყურებისა

3

აშშ-მ, შესაძლოა, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სამხედროები გაგზავნოს

ნატოს დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა, შესაძლოა, სამხედროები გააგზავნოს აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოებში, რომლებიც საფრთხეს გრძნობენ უკრაინაში რუსეთის მოქმედებების გამო. ამის შესახებ ნატოს ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა.

— საუბარია ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში ღონისძიებებზე, რომლებიც ჩვენი აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორებისთვის უსაფრთხოების გარანტია იქნება, — აღნიშნა ფილიპ ბრიდლავმა.

ამასთან, ნატოს ჯარების მთავარსარდლის განცხადებით, მისიაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნატოს ნებისმიერ წევრ-სახელმწიფოს, მათ შორის აშშ-ს. მისივე თქმით, მოქმედების გეგმა მომდევნო სამშაბათისთვის უნდა იყოს მზად.

„როიტერის“ ინფორმაციით, მაისის თვიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უკრაინაში არსებული ვითარების გამო აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის გაძლიერების მიზნით 12-მდე გაზრდის იმ თვითმფრინავების რაოდენობას, რომლებიც ბალტიისპირეთის სახელმწიფოების თავზე პატრულირებენ.

ნაციონალები არსადაც არ წასულან!

5

6 დასაწყისი 9 აპრილი იყო

„ოცდასამი წლის შემდეგ“

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ევროსაბჭოში რუსეთის 2014 წლის ბოლომდე ხმის უფლება შეუჩერდა

გავრცელებული ინფორმაციით, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა PACE-ს სხდომაზე მყოფი 188 დეპუტატიდან 145-მა, 21 დეპუტატი კი წინააღმდეგი იყო.

ამასთან, რეზოლუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, რუსეთს ეკრძალება PACE-ს ხელმძღვანელ ორგანოებსა და სადამკვირვებლო მისიების მუშაობაში მონაწილეობა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადებით, თუ რუსეთი ყირიმის ანექსიას არ შეწყვეტს, PACE სანქციებს გაამკაცრებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის წინააღმდეგ სანქციების განხილვის საკითხს რუსეთის დელეგაცია არ ესწრებოდა.

* * *

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე უკრაინელმა დეპუტატმა ალექსანდრე შევჩენკომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაზე ისაუბრა.

როგორც შევჩენკომ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რუსეთთან დიალოგი შეუძლებელია.

— რომელ დიალოგზე ვსაუბრობთ ამ ქვეყანასთან? ხედავთ ამ დარბაზში რუსეთის წარმომადგენლებს? მათ არ უნდათ არანაირი დიალოგი, მათ დაამცირეს მთელი ასამბლეა დარბაზიდან ჩუმად გასვლით. რუსეთი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ მსოფლიო წესრიგს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. მან ყველაფერი დაანგრია. ბირთვული იარაღის ფლობით ის გვაშინებს ყველას და მათ შორის ევროპას. ამის აღიარება არ გვინდა. ის არ სცემს პატივს არც ერთ ქვეყანს. უახლოეს პერიოდში რუსეთმა წაართვა საქართველოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მოლდოვას — დნეპრისპირეთი, მხარს უჭერდა აგრესიას აზერბაიჯანის წინააღმდეგ მთიან ყარაბაღში, ბოლო პერიოდში კი ყირიმი მიიტაცა. რუსეთს არ სურს არანაირი საუბარი. ყირიმის ანექსია არის რეაქცია იმაზე, უკრაინაში რაც მოხდა, ვგულისმობ იანუკოვიჩის დიქტატორული რეჟიმის შეცვლას, რომელსაც მოსკოვი მხარს უჭერდა, — განაცხადა შევჩენკომ.

◎ ჭკუადახშულნი

უპრეცედენტო ღალატი მსოფლიოს ისტორიაში

9 აპრილის წინა დღეებში რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ თბილისში, თავისუფლების მოედანზე რუსეთის დროშები ააფრიალა, რითაც რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის მიმართ დაუფარავი მხარდაჭერა გამოხატა. არა თუ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, რომ ქვეყანას, რომელსაც მეორე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი აქვს დაპყრობილი, დამპყრობ ქვეყანას ქვეყნის ტერიტორიის დარჩენილი ნაწილის დაპყრობისაკენ დაპყრობილი ქვეყნის ახალგაზრდობის ნაწილმა დემონსტრაციულად მოუწოდოს. სულ მცირე, ეს იგივეა, რომ დიდი ბრიტანეთის მხარდასაჭერად ფეხბურთის სტადიონზე გერმანელმა გულშემატკივარმა დიდი ბრიტანეთის დროშები აფრიალოს.

9 აპრილს, საღამოს, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პარლამენტის წევრმა კონსერვატიული პარტიიდან, ამხანაგმა გუჯაბიძემ გამოთქვა აზრი, რომ ახალგაზრდებს ამის გამო პასუხს ვერ მოვთხოვთ, რადგან „ვერავის ვერ ავუკრძალავთ სხვა ქვეყნის დროშის ფრიალს“. ამ დროს, თავმოსაჭრელ ფაქტს ქონდა ადგილი თბილისში. ყველაზე სავალალო ისაა, რომ ასეთის განმეორების არაპირდაპირი წაქეზება საქართველოს პარლამენტის წევრიდან მოდის, და თანაც იმ პარტიიდან, რომელიც ტრადიციული ღირებულებებისადმი თავისი ერთგულებით ყოველთვის გამოირჩეოდა.

პარტიულ კუთვნილებას, რომ თავი დავანებოთ, უფრო საგანგაშო ისაა, რომ ამხანაგი გუჯაბიძე უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელია, რომლის უპირველესი ვალდებულება იმ კანონის ცოდნაა, რომელიც საქართველოს ძირითადი კანონის ძალით შეესაბამება საერთაშორისო კანონს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძალით: ყველას აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი, მაგრამ გამოხატვის ფორმა, თუ კი ის „ეწინააღმდეგება ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის ინტერესებს, საფრთხეს უქმნის საზოგადოების სიმშვიდეს და რამაც შეიძლება გამოიწვიოს უწესრიგობა ან დანაშაული, ექვემდებარება შეზღუდვებს და დასჯას“.

გამომდინარე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან, რომლის შესრულება საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ევროსაბჭოს წევრმა-სახელმწიფომ იკისრა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, აღძრას სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს ღალატის ჩამდენ პირთა და მათ წამქეზებელთა მიმართ. რაც შეეხება ამხანაგ გუჯაბიძეს, მის მიმართ შეიძლება დაიწყოს პარლამენტიდან გაწვევის პროცედურა, რადგან მან თავისი სატელევიზიო გამოსვლით შინაური მტერი დანაშაულის განმეორებით ჩადენისაკენ არაპირდაპირ წააქეზა.

საერთოდ კი, საქართველოში შეინიშნება ჭკუადახშული ან ყოფილ საბჭოთა სუკ-თან მოთანამშრომლე უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის („Бывших не бивает“) და რუსეთის დღევანდელ სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე ორი ეროვნების ახალგაზრდა პირთა გააქტიურება, რომელნიც თუნდაც ევროკავშირში საქართველოს შესვლას ეწინააღმდეგებიან, რითაც შეფარულად რუსეთის მიერ საქართველოს სრულ ოკუპაციას და ანექსიას უწყობენ ხელს.

ბიძინა სავანელი,
სამართლის დოქტორი,
ექსპერგი ადამიანის უფლებათა დარგში.

ნაცთა ბრიფინგები ლაყე კვერცხებისა და ცოცხების ფონზე

ანაკლიაში, კოალიცია „ქართული ოცნების“ მომხრეებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს დაგეგმილი ჰქონდათ ბრიფინგი, რაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გააპროტესტეს. მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. კოალიციის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ანაკლიის ტერიტორია დატოვებინათ.

„ქართული ოცნების“ მომხრეების განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები 9 წლის განმავლობაში ძალადობდნენ ხალხზე და მათ უფლება არ აქვთ, ანაკლიაში ბრიფინგი ჩაატარონ. ნაციონალური მოძრაობის წევრებს ცოცხები და კვერცხები დაუშინეს. ასევე ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაიზარდა ნაციონალების ბრიფინგი კახეთში, წყალტუბოსა და თბილისში. შედარებით უმტკივნეულო იყო გიგი უგულავას ჩასვლა ბათუმში. დაპირისპირება არ მომხდარა ერთი მიზეზის გამო — ბათუმში თბილისის ყოფილ მერს ერთი ნაციონალი და რამდენიმე ჟურნალისტი ახლდა.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

თეთნულდში სათხილამურო ტრასა აშენდება

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორი საკითხი დამტკიცდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, პირველი ეხება სვანეთში თეთნულდის სათხილამურო ტრასის მშენებლობის დაწყებას, რომლისთვისაც 5 მილიონი ლარი გამოიყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

— იქ ჩვენი მხრიდან უკვე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს დღეებში დაიწყება სამშენებლო საზედამხედველო სამუშაოები. ის მოწყობილობა, რაც ჩვენ მივიღეთ საფრანგეთიდან, არის დასაწყობებული. გარდა ამისა, წელს ველოდებით რამდენიმე ათეულ კონტეინერს. პროექტის მშენებლობის ნებართვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან მიღებულია, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მინისტრის განცხადებით, სხდომაზე ასევე დამტკიცდა მუნიციპალიტეტების დაფინანსების გამოყოფის საკითხი. როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, პროექტები, რომლებიც ადგილობრივმა თვითმმართველობებმა წარმოადგინეს, იყო განხილული სამინისტროსთან არსებულ კომისიაში და 81 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის.

— ჯამში, დღეის მდგომარეობით სულ 140 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებია დაფინანსებული. მათ შორის გვაქვს გარდამავალი პროექტები, რომლის მშენებლობების პროცესი გრძელდება, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

საერთაშორისო სწავლება „ვიკინგი 2014“ დასრულდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, „ვიკინგი 2014“-ის დახურვის ცერემონიალი გუშინ მე-4 მექანიზირებული ბრიგადის ტერიტორიაზე გაიმართა. სწავლების ხელმძღვანელობამ მონაწილეებს შესრულებული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და სერტიფიკატები გადასცა.

სწავლების შტაბმა სამომავლო წვრთნებისთვის გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა, რომლებიც მომავალი სწავლებებისთვის იქნება ადაპტირებული და მონაწილე პერსონალის პროფესიონალიზმის დონეს კიდევ უფრო აამაღლებს. წვრთნაში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სწავლება თითოეულ მონაწილე ქვეყანაში ერთდროულად გაიმართა. სამეთაურო-საშტაბო სწავლების წამყვან ქვეყანას შვედეთი წარმოადგენდა, სადაც განთავსებული იყო ოპერაციების დაგეგმვის შტაბი. მონაწილე ქვეყნების კოორდინაცია ტელეხიდისა და ვიდეოკონფერენციების საშუალებით ხორციელდებოდა. ისინი დავალებებს ოპერაციების დაგეგმვის შტაბიდან იღებდნენ, რის შემდეგაც ერთობლივად მოქმედებდნენ. სწავლების სცენარის მიხედვით, პირობით ქვეყანაში კრიზისი განვითარდა, რის გამოც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დახმარებისთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მიმართა. შეიქმნა მრავალეროვნული ბრიგადები, რომლებიც პირობით ქვეყანაში „სტაბილურობის ოპერაციებს“ ასრულებდნენ.

გიგი უგულავა სასამართლოს შენობიდან პოლიციამ გააპარა

ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოს ეზოში შეკრებილმა აქტივისტებმა მანქანას კვერცხები ესროლეს. აქტივისტები აცხადებდნენ, რომ მანქანა გიგი უგულავას ეკუთვნის და მას საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფნის უფლება არ აქვს. „ცხრა წლის განმავლობაში ადამიანებს აყაჩაღებდნენ და კლავდნენ, მათ არ აქვთ სასამართლოში ყოფნის უფლება“, — აღნიშნავდნენ აქტივისტები.

ავტომობილისთვის კვერცხების სროლას აქტივისტებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. კვერცხებით შეღებილი ავტომობილი საკონსტიტუციო სასამართლოს პარკინგიდან ქალბატონმა გაიყვანა, რომელიც აცხადებდა, რომ მანქანა მას ეკუთვნის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გიგი უგულავას სარჩელს განიხილავს. სასამართლო არსებითად სარჩელის იმ ნაწილს განიხილავს, რომელიც თანამდებობაზე არჩეული პირის სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაყენებას და ამ პროცედურის ზეპირი მოსმენის გარეშე წარმართვას ეხება.

სასამართლოს მიმდინარეობის დროს გიგი უგულავამ პოლიციის გამოძახება მოითხოვა მისი უსაფრთხოდ გაყვანის მიზნით.

ბენდუქიძის საგაზაფხულო ნოკდაუნი

ამბავი ნამინისტრალის დიდი მუცლისა და პატარა ყურებისა

ეკონომიკური ოკუპაციის, ანუ ინვესტიციის გზით საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩასაგდებად.

ᲕᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑ, ახლა როცა ბარაკ ობამას ენაპირით გაცხადებულმა ნატოს აღმოსავლეთით გაუფართოებლობის უწყინარმა ცნობამ ჩვენებური ნაცები გულმდუღარედ დაამწუხრა, ბენდუქიძის „ბიზნესწარმატებაზე“ საუბარი შეიძლება ერთგვარ მკრეხელობადაც ჩამეთვალოს, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუკი ამის აუცილებლობა შარშანაც და წელსაც გაზაფხულის შემობრძანებამ მაიძულა? ლაპარაკია ბენდუქიძის მთავარ პროკურატურაში ამასწინანდელ „მიპატიჟებაზე“, როდესაც ის მოწმის სტატუსით დაკითხეს.

„გაზაფხულზე, სადღაც ათიდან ოც მარტამდე, შარშანაც და წელსაც ერთი და იგივე მოვლენები ხდება, როდესაც დარტყმას გვაყენებენ. ეს ხდება შეგნებულად თუ გაზაფხულს ვესალმებით ასე, არ ვიცი“, — განუცხადა ჟურნალისტებს ოდნავ დაბნეულმა ბენდუქიძემ პროკურორთან დაკითხვაზე შესვლამდე. უკან გამობაჯბაჯებული მოწმე, როგორც თავად განაცხადა, დიდად კმაყოფილი დარჩა გამომძიებელთა თავაზიანობითა და კორექტულობით, თუმცა, იქვე დაამატა, რომ საქმეს პოლიტიკური სუნი უდის და სხვა შინაარსი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ შექმნას აურზაურიო. ბენდუქიძემ ასევე აღნიშნა — მრცხვენია, რომ მთავარ პროკურატურას ასეთი პროკურორები ჰყავს(!).

მართალია ეს კაცი, როცა არ მოსწონს ხელოვნურად, უფრო სწორად, პოლიტიკური მოტივით შექმნილი აურზაური. ზუსტად შარშან ამ დროსაც ასე მოხდა, როცა აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით აგორებულმა ტალღამ შამაიების სანსვლით გაბეყილი ლოქოსავით გამოაგდო ნაპირზე ეს ჩვენი ეკონომიკ-ნამინისტრალი კახა ბენდუქიძე. ჰოდა მანაც, როგორც ხაფაცმა და სხვისი ქონების გამტაცებელმა კი არა, როგორც სიკეთითა და სინდის-ნამუსით გაძეძგილმა პერსონამ, ამა ქვეყნის ძლიერთა უსამართლობით დათრგუნულის პოზა მიიღო და დაჩაგრულის ხმით ამოიხავლა: მიშველეთ, ხალხო, მახრჩობენ ეს ეშმაკის კერძები, სიკეთეს ვშვრები და უკეთურობას მწამებენ, ახალგაზრდობას ცოდნას ვაძლევ და დამნაშავედ მნათლავენ. ვიცი, რევანშის წყურვილი ამოძრავებთ და ჩემი მოცილება სურთ, მაგრამ რა დააშავა 2 ათასმა სტუდენტმა, რომელთაც სწავლა-განათლების კარს უხშობენო!?

ბენდუქიძის ამ გულისშემძვრელმა მონოლოგმა მაშინ ხალხში დიდი შფოთი და გაუგებრობა გამოიწვია. ბატონ კახას გაიმასქნებით ზოგმა გული მოიფხანა, ზოგმა — ენა, ზოგმა შეიბრალა კიდეც — რას ერჩიან ეს მამაცხონებულები ამ კრავივით უვნებელ კაცს, რაც კი რუსეთში და მერე საქართველოში ფული იშოვა, ახლა კაპიკდაუზოგავად სტუდენტთა აღზრდა-განათლებას ახმარს და მეტი რაღა მოიმოქმედოს, რახან თვალტანადი და მუცელრუმბაა, ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფრით კმაყოფილი და ნეტარბედნიერიაო. ასეა ნამდვილად, მისი ლომურ-დათვური გარეგნობა და ვაჟკაცური ხიბლი ბევრს ატყუებს.

თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, ბენდუქიძის კოზირი, რამაც ქვეყანა გაანიორწყლა, ჯანში კი არა, მის „გონში“ გახლავთ. რა დასამალია, სწორედ მისმა ჭარბმა „ინტელექტმა“ და ელვარე „ნიჭიერებამ“ დიდ საბიზნესო გამოცდილებასთან ერთად, რომელიც რუსეთში დააგროვა, მისცა ბიძგი სიღარიბით გაძვალტყავებულ საქართველოს, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წარუმატებლობა მყისიერად დაეძლია და მსოფლიოს ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოთა შორის აღმოჩენილიყო. ეს ისე, სარკაზმისთვის, სინამდვილეში რა მიზნით ჩამოვიდა ბენდუქიძე რუსეთიდან საქართველოში, კარგად ჩანს მისი მოწაფის **ლარისა ბურაკოვას** მიერ 2011 წელს გამოცემულ წიგნში **„რატომ შეძლო საქართველომ“...,** სადაც არის ასეთი პასაჟი — რუსეთის მეწარმეთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე **არკადი ვოლსკი ეუბნება ბენდუქიძეს: „საჭიროა საქართველოში წასვლა“. ბენდუქიძე მიუგებს: „მე სხვა გეგმები მაქვს“... ვოლსკი.: „სააკაშვილმა მიგიწვია, პუტინი თანახმაა“... ასე რომ, 2004 წლის მარტში ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა სააკაშვილისა და პუტინის შეთანხმებით. ფაქტია, რომ ის გამოგზავნეს ქვეყნის** ეკონომიკური ოკუპაციის, ანუ ინვესტიციის გზით საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩასაგდებად.

ჰოდა რას ვერჩით, საქართველოში ჩამოსთვლისთანავე ეკონომიკის მინისტრად დანიშნულმა ბენდუქიძემ ჩალის ფასად გაყიდა „თელასი“, „თლბილწყალი“, „მადნეული“, „კვარციტი“, ზესტაფონის „ფერრო“, რუსთავის „აზოტი“, „ყაზტრანსგაზი“, ბათუმისა და ფოთის პორტები, ენგურჰესი და კიდევ რა აღარ. აგვისტოს ომის (2008 წ.) დამთავრებიდან მეორე დღესვე ენგურჰესი რუსულ კომპანია „რაო ეესს“ მიჰყიდეს, რაც გასაიდუმლოებული მემორანდუმით გააფორმეს. ერთადერთი, რაც გულში ხინჯად დარჩა ბენდუქიძეს, გაზსადენისა და რკინიგზის გაყიდვა ვეღარ მოასწრო, ამაში რატომღაც ხელი ამერიკელმა პარტნიორებმა შეუშალეს.

მას მერე, რაც ბენდუქიძეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის მათრახი ხელიდან გააგდებინეს, ერთხანს მორცხვობდა და საჯარო გამოსვლებს ერიდებოდა. ეს გაგრძელდა მანამდე, ვიდრე 2013 წლის მაისში აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია არ შეუჩერეს, რასაც სტუდენტთა პროტესტი მოყვა. ავტორიზაცია უნივერსიტეტს მალევე აღუდგა, თუმცა, ბენდუქიძის წინააღმდეგ ბრალდებების სერია გაგრძელდა. მას ედავებოდნენ, უფრო სწორად „აბრალებდნენ“ სოფლის მეურნეობის დაქცევას, რომელსაც სახელმწიფო სუბსიდირება ჰაერივით სჭირდებოდა. ბენდუქიძე კი ამას ეწინააღმდეგებოდა, აცხადებდა: **„ქვეყანაში რაც უფრო ცოტა გლეხი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები თავის ტკივილი იქნებაო“. და კიდევ, მეჩაიეობა და მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს ეკონომიკას დღემდე მძიმე ტვირთად აწევს, რადგან ეს დარგები საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გაიბერაო.** ასეა, თავის ატკიება არ უნდოდა, თორემ სოფლის მეურნეობის დანატოვარი სიმდიდრის მიტაცებაზე უარი არასოდეს უთქვამს. არც მაშინ, როცა 2011 წელს პრემიერ ნიკა გილაურის ბრძანებით საქარის საცდელი სადგური აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთდა და ის უძღები ბენდუქიძის ხელში აღმოჩნდა (ხომ წარმოგიდგენიათ დაფაცურებული ბენდუქიძე!). **და 130-წლიანი დაძველების მქონე 17 000 ღვინის ბოთლი ჩალის ფასად, თითო 23 თეთრად, შეიძინა(!)... „იუდად“ მონათლულ (ბენდუქიძეს) უკავშირდება ქართული აბრეშუმის ჭიის კვერცხების განადგურებაც, რაც აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე რიცხული მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის დემონტაჟს მოყვა.**

ბენდუქიძის ნაცოდვილარს რა ჩამოთვლის, ალბათ, მოგვიწევს დროის დაზოგვა და ამ ჩამონათვალზე იმ ბრალდების თუ ბარლდებების მიმატება, რის გამოც ბატონ კახას პროკურატურაში მცირე (10-საათიანი) დაკითხვა მოუწყვეს. მაინც რას ედავებიან, არ იკითხავთ? საქმე ეხება სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის დიდი ოდენობის ქონების მითვისებას. გამოძიების მტკიცებულებით, ეს ქონება გასხვისდა კანონის გვერდის ავლით. **კერძოდ, აგრარული უნივერსიტეტი ჯერ არასამეწარმეო იურიდიულ პირად გარდაიქმნა და ის 14 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შპს „აგრომეტის“ საწესდებო კაპიტალში შემცირებული ღირებულებით შეიტანეს, შემდეგ კი იმავე „აგრომეტის“ 100-პროცენტიანი წილი, 5,15 მილიონ დოლარად და 8 მილიონ ლარად საინვესტიციო ვალდებულებით, იმ აგრარულ უნივერსიტეტს მიყიდეს, რომლის დამფუძნებელიც „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდია“. როგორც პროკურატურამ „აღმოაჩინა“, ეს ფონდი თურმე კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდის“ დაფუძნებულია!**

აბა როგორ, კახა ბენდუქიძე რის ინტელექტუალია, თუ თაღლითობის გზებს უახლესი მეცნიერული მიღწევების დონეზე არ ჩახლართავდა და პროკურატურას დანაშაულს პირდაპირ ხელში შეაჩეჩებდა? ინტელექტუალს აი მაშინ კი აშკარა „იაღლიში“ მოუვიდა, როცა **თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე განთავსებული 59 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება 10 790 000 ლარია, კაპიტალში 59 000 ლარად (1 კვადრატული მეტრი 10 თეთრად!)** შეატანინა. ანალოგიური გზით შეამცირებინა დანარჩენი ქონების ღირებულებაც.

როგორ ფიქრობთ, ვიდრე პროკურატურა ამ ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდეს და კანონით გათვალისწინებულ ბრალს წაუყენებდეს ბენდუქიძეს, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკის განადგურების რეფორმები თვალდახუჭულმა შეიმუშავა, იმდენი აღარ იცის, ამ ყველაფერს რისი სუნი უდის, რომ იყნოსოს და დაკავებულ პოსტს დროულად გაერიდოს? მშვენივრადაც იცის, მაგრამ ჩვეული ვირეშმაკობით ცდილობს, შექმნილი სიტუაცია დანაშაულის პოლიტიკური მოტივით გასათეთრებლად გამოიყენოს, სტუდენტებს ამოეფაროს და ხელისუფლება მათი ინტერესების უგულებელყოფაში დაადანაშაულოს. ამის შემყურეს გიჩნდება განცდა, რომ ბენდუქიძეს, რომელსაც მუცელიც სტანდარტულზე გაცილებით დიდი აქვს და უნაყოფო იდეებით გამოტენილი თავიც, ყურები საერთოდ არ გააჩნია, რათა ყოველივე ეს, რაზეც ამ წერილშია საუბარი ყურადღებით მოისმინოს და დასკვნებიც შესაბამისი გამოიტანოს.

რახან ასე დაიბნა ჩვენი რეფორმატორი ნამინისტრალი, რომ ანალიზის უნარი დაკარგა, შემიძლია არა მარტო შევავასო მისი „ნამოღვაწარი“, არამედ ვურჩიო კიდეც — ვიდრე პროკურატურას ბრალი არ წაუყენებია, ახლავე დაწეროს განცხადება და საკუთარი სურვილით აჩუქოს სახელმწიფოს 1 ლარად ნაყიდი 200-მილიონიანი აგრარული უნივერსიტეტი (მითვისებული მიწებიც), როგორც ამას თავის დროზე „სიხარულით“ აკეთებინებდა ურჩ ბიზნესმენებს, როცა ხელისუფლების სათავეში იჯდა. ნუ გეშინიათ, ბატონო „მეცენატო“, გავა დრო, მოვა სხვა ხელისუფლება, რომელთანაც შეგეძლებათ, იჩივლოთ, რომ „ოცნებამ“ ქონება ნებაყოფლობით კი არა, იძულებით წაგართვათ, და რა იცით, იქნებ უკლებლივ უკანაც დაიბრუნოთ. გარისკეთ, ბატონო კახა!

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

სახელმწიფო პედაგოგთა შეფასების ახალ სისტემას ქმნის

— ეს იქნება როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ნაწილის შეფასების კუთხით, მოხდება კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, დავადგინოთ მასწავლებლის კომპეტენცია და მივცეთ იმის საშუალება პედაგოგს, რომ მან უკეთ დაგეგმოს თავისი სამუშაო სამომავლოდ, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

ამასთან, მან კომენტარი გააკეთა ნამბალოს სკოლის მშენებლობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ნამბალოს სკოლის მშენებლობის საკითხზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს, არ დაადასტურა.

— მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხების გარეშე. ის გაწერილია წელიწად-ნახევრის განმავლობაში და რაიმე ტიპის შეფერხება რომ ყოფილიყო, პირველ რიგში, მე მეცოდინებოდა. იქ ბავშვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, რადგან წინა ხელისუფლებამ მათ სკოლა დაუნგრია და ახალი არ აუშენა. ჩვენ ყველა საჭირო პროცედურა თავიდან გავიარეთ და მშენებლობა დავიწყეთ, რომელიც ძალიან ნორმალურად და გეგმიურად მიმდინარეობს, — აღნიშნა განათლების მინისტრმა.

რას დაარქმევენ საფინანსო ინსტიტუტს — ბანკს თუ ფონდს?

ᲐᲮᲐᲚᲘ საფინანსო ინსტიტუტი, რომლის შექმნასაც მთავრობა გეგმავს, სხვადასხვა სახელმწიფო-საინვესტიციო ფონდებს გაერთიანებს. ამის შესახებ გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, რა იქნება ახალი ინსტიტუტის სახელწოდება — ბანკი თუ ისევ ფონდი, ამაზე გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. რაც შეეხება მანდატს, მინისტრის განმარტებით, ის იქნება ისეთი, რომ არსებულ კომერციულ საბანკო სისტემასთან არ გადაიკვეთოს.

— ამ ინსტიტუტმა უნდა დააფინანსოს განვითარების გრძელვადიანი პროექტები, სადაც გრძლევადიანი კაპიტალია საჭირო, რა ტიპის პროექტებსაც არსებული კომერციული საბანკო სისტემა, როგორ წესი, არ აფინანსებს, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ახალ საბანკო სისტემას დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს, გიორგი კვირიკაშვილი ადასტურებს, რომ საგანელიძის კანდიდატურაზე მსჯელობა მიმდინარეობს, თუმცა აცხადებს, რომ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

ნუ ვენდობით სიტყვაზე,

ანუ ცდილობენ თავს მოგვასვიონ უტოპიური, ქვეყნისთვის საზიანო და ამორალური გადაწყვეტილებები

ახლა, ნატოსავით აკვიატებულ და არანაკლები საფრთხის შემცველ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე და ხელისუფლების სხვა უზნეობებზეც (მრავალთაგან ზოგიერთზე) მოგახსენებთ:

ევროკავშირთან ასოცირებაც რომ დამღუპველია, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების – ბულგარეთ-რუმინეთის მაგალითზე და, გნებავთ, ჩვენსავით პოსტსაბჭოთა ლატვიის მაგალითზე, საიდანაც ხუთ წელიწადში მოსახლეობის მეხუთედმა(!) დატოვა ქვეყანა და სამუშაოს საძებნელად ევროპას მოედო.

ამერიკელებს აქვთ გამოთქმა (შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი, და არა – განვითარებადი სახელმწიფოების მოსახლეობისთვის, ცხადია!): „ერთხელ მომატყუე? შენი სირცხვილი; ორჯერ? ჩემი სირცხვილი“! ჩვენ რამდენჯერ მოგვატყუეს, ამას თვლა აქვს? მარტო მოგვატყუეს? რამდენჯერ ღირსება გაგვითელეს და პატივიც აგვყარეს, და, საერთოდ, გვაგდებს ვინმე ძაღლად, გვეკითხება რამეს? ხალხს ხომ იმის არჩევის უფლებასაც არ აძლევენ, თუ სად, რომელ კავშირში გაწევრება სურს – ნატოში, ევროკავშირში, ევრაზიურ კავშირში თუ არცერთში! **როცა ხელისუფლება გვეუბნება: საგარეო კურსის არჩევის უფლება თქვენ არ გაქვთ, ასეთ საკითხებზე რეფერენდუმი არ ტარდება, კონსტიტუცია ამას არ ითვალისწინებს, ეს ჩვენი გადასაწყვეტიაო და, იმავდროულად, საკუთარ თავს ხალხის ნების აღმსრულებელ, ხალხის სამსახურში მყოფ დაქირავებულ ხელისუფლებას უწოდებს, იგი, ერთდროულად, გვატყუებს და დაგვციინის კიდეც!**

არადა, თავისუფალ არჩევნებთან ერთად სწორედ რეფერენდუმია ხალხის მმართველობის, ანუ დემოკრატიის უშუალო და პირდაპირი გამოხატულება, ამ გზით მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოსთვის და, მაშასადამე, თითოეული მათგანისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში! და, ამ დროს გვიცხადებენ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა-არმოწერა რეფერენდუმზე არ წყდებაო. ნატოში შესვლა–არშესვლაზეც, ყველა წესით, რეფერენდუმი უნდა იმართებოდეს, მაგრამ ჩვენ პლებისციტს(?!) გვიტარებენ, არადა, პლებისციტი მხოლოდ ლოკალური(!) მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით ხალხის გამოკითხვაა და მეტი არაფერი, რეფერენდუმი კი – ხალხის ნების დაფიქსირება, რის წინააღმდეგაც ხელისუფლება ვერ მიდის! თანაც, ჩვენ ზუსტად ექვსი წლის წინათ (2008 წლის იანვარში) პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად და არანაკლები გაყალბებით ჩატარებული პლებისციტით გვკვებავენ დღესაც – ახალი, „პატიოსანი“ ხელისუფლების პირობებშიც. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ არც ნატოში და არც ევროკავშირში თავის შეყოფა (ნატოს ომებში მონაწილეობა და, თუნდაც, მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა) არ არის ლოკალური მნიშვნელობის, მეათეხარისხოვანი საკითხი და, რომ ასეთ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე აუცილებლად(!) რეფერენდუმები უნდა იმართებოდეს, და არა – იურიდიული ძალის არმქონე პლებისციტი, რომლის ფუნქციასაც მშვენივრად ასრულებს სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვა. ყველაფერი ეს შესანიშნავად იცის ხელისუფლებამ და ისიც კარგად უწყის, რომ იგი ვალდებულია(!) მოსახლეობას სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების ირგვლივ უტყუარი ინფორმაცია მიაწოდოს და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები აუხსნას. ამ მიზნით სამეცნიერო კონფერენციებსაც უნდა მართავდეს, მაგრამ სხვისი მონა-მორჩილი ხელისუფლება საჯარო დისკუსიებსაც კი გაურბის და ყველაფერს ვარდისფრად გვიხატავს.

ეკონომიკურად მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ჩვენ სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლებას სახლში ვერ მოუგვარებია ვერც ერთი პრობლემა (ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური), რომელსაც უზარმაზარი საგარეო ვალი აქვს და რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უცხოეთში სამუშაოდ წასული ოჯახის წევრების მიერ გადმორიცხული თანხების იმედზეა (ეს თანხა 2-3-ჯერ აღემატება საპენსიო ფონდს!), რომელიც ვერც ერთ მეზობელ ქვეყანას ვერ გაუმკლავდება სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, სადაც ისეთი პოლიტიკური მდგომარეობაა შექმნილი, რომ დამნაშავე ნაცებს ახალი დანაშაულით – კიევის „მაიდნის“ თბილისში განმეორებით დამუქრების დაუსჯელად გაცხადების უფლებაც ეძლევა და, განხორციელების შესაძლებლობაც(!), აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო სხვას უმყარებს წესრიგს და დემოკრატიას, მისი ხელისუფლება კი, რიხით აცხადებს: მსოფლიო უსაფრთხოებაში შეგვაქვს ჩვენი წვლილიო!

ამგვარ ცრუპენტელობას და ღიმილის მომგვრელ ტრაბახს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ რა ვუყოთ, როცა მთლად ლენჩებად უნდათ ხალხის გამოყვანა – აქაოდა, საერთაშორისო „სამშვიდობო“ მისიაში, ანუ ერაყ-ავღანეთში და აფრიკის ჯუნგლებში (უგანდა-სუდან-ცენტრალურ აფრიკაში) გაჩაღებულ ომებში მონაწილეობით საქართველოს ვიცავთ და ვინც იქ ომობს, ის არის საქართველოს პატრიოტიო. ჩვენი შვილებიც არანაკლები პატრიოტები არიან, ისინიც არ იშურებენ ძალღონეს და თავდაუზოგავად იბრძვიან ოქსფორდ-კემბრიჯ-სორბონას ფრონტზეო!

სხვისი შვილების ომში გაწირვა და საკუთარზე კრუხივით გადაფოფრება რომ დიდზე დიდი უზნეობაა ხელისუფლების მხრიდან, ამას ვინმეს დასტური სჭირდება?!

ახლა თავად მისიაზე. რახან გვეუბნებიან „სამშვიდობო“ მისია ჰქვია ნატოს მიერ გაჩაღებულ ომებსო, ამიტომ ასობით ათასი ადამიანის ხოცვა-ჟლეტით დამყარებულ „მშვიდობას“ თუ „დემოკრატიას“ უნდა მივესალმოთ, მასში მონაწილეობა საპატიოდ მივიჩნიოთ და ჩვენი შვილებიც სიხარულით უნდა გავუშვათ „საქართველოს დასაცავად“ გადასაკარგავში?! თან, თურმე, საქართველოს თავდაცვისუნარიანობასაც ვზრდით, ნამდვილ ომებში მონაწილეობა ჯარს აწრთობს, ბრძოლისუნარიანობას ამაღლებსო. ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ რაც მთავარია, არავინ არაფრად დაგიდევს იმ ჭეშმარიტებას, რომ ნებისმიერი ომი, განსაკუთრებით კი, სხვის უსამართლო ომებში მონაწილეობა, როგორიც დღეს წარმოებს მსოფლიოში (ვითომ, დიქტატორების და ტერორიზმის წინააღმდეგ) სულიერად ასახიჩრებს ადამიანს, დაჭრილდაინვალიდებულებს ბევრად სჭარბობს ფსიქიკურად სამკურნალო კონტინგენტი, ამერიკაში ახალი სამედიცინო დიაგნოზიც კი მოიგონეს მათთვის – ე.წ. ერაყის სინდრომი! ყველას გვინახავს აბუ-გრეიბის ციხეში ავღანელ ტყვეთა წამების კადრები და დახოცილ მეომრებზე ამერიკელი ჯარისკაცების კოლექტიური შარდვა. მსგავს საქციელს ნორმალური ფსიქიკის ადამიანები ხომ არაფრის დიდებით არ ჩაიდენენ. და ის, რაც ვიხილეთ, ეს ხომ წვეთია, სამხედრო საიდუმლოების ფილტრში შემთხვევით გაჟონილი! მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამერიკას 10-12 წლის მანძილზე(!) გუსამართლებელი ასობით „ტერორისტი“ ჰყავდა (და დღესაც ჰყავს 200-მდე) დამწყვდეული გუანტანამოს ბაზაზე, ნათლად მიუთითებს, თუ როგორ სამშვიდობო, როგორი დემოკრატიის დასამყარებელ მისიასთანაც გვაქვს საქმე!

ახლა ისიც ვიკითხოთ, **რა იურიდიული და, რაც მთავარია, რა მორალური უფლება გვაქვს ცხრა მთას იქით ვიღაცებს წესრიგი დავუმყაროთ, თანაც, ცეცხლით და მახვილით! გვთხოვეს კი მათ – ხელისუფლებამ ან ხალხმა დახმარება?** თუკი სხვის საქმეებში, თუნდაც, შიდა არეულობაში ჩარევა სამართლიანია, მაშინ 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენთან ატეხილ საოქალაქო ომში უცხო ქვეყნები (აფრიკიდანაც!) რომ ჩარეულიყვნენ იმავე გაეროს ან ნატოს მანდატით, და მშვიდობის აღდგენის მომიზეზებით (თან, საკუთარი სამშობლოს დაცვის და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით!) გვარიანადაც გავეჟუჟეთ, გამოდის, მისასალმებელი იქნებოდა!

როცა არათუ საგარეო პოლიტიკას, სასიცოცხლოდ(!) მნიშვნელოვან საშინაო-საპენსიო და სახელფასო პოლიტიკასაც საკუთარი მადის მიხედვით წყვეტს ხელისუფლება, როცა არ არის განსაზღვრული (საერთაშორისო სტანდარტებით!) საარსებო მინიმუმი და არ არის დაკანონებული, თუ რამდენჯერადი სხვაობაა დასაშვები სახელმწიფო მოხელის შემოსავალსა (ხელფასს+პრემია) და პენსიას (დღევანდელ 150 ლარს) შორის, როცა სიღატაკეში მყოფ, 30-50 წლის მუშაობის სტაჟის მქონე ღვაწლმოსილ, დამსახურებულ პენსიონერებს გაზულუქებული ხელისუფლება ზარ-ზეიმით აუწყებს, ლამის აყვედრის 10 ლარის მომატებას და თავად 1000-ით და 2000-ით იზრდის ისედაც მაღალ ხელფასს, როცა ცხვირმოუხოცავი მინისტრები, რომლებსაც არაფრით არ გამოუჩენიათ თავი ქვეყნის სამსახურში, პენსიონერთან შედარებით 40-50-ჯერ დიდ ხელფასებს ინიშნავენ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ამაზე მეტი უზნეობა რაღა უნდა იყოს!

იმათზე, ვინაც სააკაშვილის მითითებებით და წახალისებით ნაცების დანაშაულს „აპრავებდა“ და დღესაც(!) „აპრავებს“ ყალბი მტკიცებულებებით და უსამართლო განაჩენებით, დიდი აპლომბით გვეუბნებიან და, თან, ცდილობენ (თავიანთი ჭკუით!) დაგვაჯერონ საკუთარ ღირსებებში: ნახეთ რა კარგები, რა დემოკრატები მოვედით ხელისუფლებაში – **არც გამოძიება-პროკურატურის საქმეებში ვერევით და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხომ არ ვერევით და არა, მათ სრული თავისუფლება მივანიჭეთო** – ვინც უნდათ ის დაიჭირონ, ვინც უნდათ ის გაამტყუნონ ან გამოუშვან საპროცესო გარიგებით, ჩვენი საქმე არ არის, თუნდაც, სამუდამო პატიმრობის ღირსი ნაცებისთვის ისეთი განაჩენი გამოუტანიათ, რომელსაც ახლო მომავალში ამნისტია შეეხებაო! უცხოეთთან თავის მოსაწონებელ **ხელისუფლების ამ სიტყვებში სიბრიყვესთან ერთად დანაშაულიცაა და ხალხის მასხრად აგდებაც, ანუ უზნეობაც!**

დაგვცინის, აბა რას შვება ხელისუფლება, როცა „გვამშვიდებს“: ხომ ხედავთ, სამართლის აღდგენას ვიწყებთ, ათ(!) საქმეზე ვიბარებთ სააკაშვილს მოწმის სახით, მაგრამ, რადგან არ ჩამოდის და გამოუცხადებლობის გამო მოწმეზე ძებნაც არ ცხადდება, თქვენ მაინც ნუ ინერვიულებთ, ყურებით თუ არა, სკაიპით მაინც „დავიჭერთ“ და ჩვენებას მოვაცემინებთო! იმის გათვალისწინებით, რომ ათი ათას(!) კაცს წაართვეს საკუთრება (სხვა დანაშაულს თავი რომ დავანებოთ), სააკაშვილი ათზე კი არა ას და ათას საქმეზეა დასაკითხი, მაგრამ თუ მართლა მისი ჩამოყვანა და გასამართლება სურს ქართულ ოცნებას, რაღა მოწმის სახით იბარებს, სისხლის სამართლის დანაშაული არაფერი აქვს ჩადენილი ამ ვაჟბატონს?! **მარტო აფრასიძეების ჩახოცვის თაობაზე მის მიერ საჯაროდ გაცხადებული აღიარება და დოკუმენტურად(!) დადასტურებული დიდი ოდენობით სახელმწიფო ფულის საკუთარი მიზნებისთვის ხარჯვა, როცა მუცელს და მრუშობას გადაყოლილი 40 წლის(!) „მამაკაცი“ ბოტოქსების ინიექციაში, მასაჟებში და ღიპის დასაგდებად ათეულობით ათასს ხარჯავდა უშიშროების(!) ფონდიდან და, როცა იმავე ფონდიდან საკუთარი შვილის სწავლის ფულს იხდიდა, საკმარისზე მეტი სამხილი არ არის სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად და მისი მართლა ყურით ჩამოსათრევად?!** გული რომ გულობდეს და ცოტა გამბედაობა ჰქონდეს ხელისუფლებას, ექსპრეზიდენტისთვის იურიდიულად გამართული(!) ბრალდების (ბრალდებების!) წაყენების შემთხვევაში, დასავლეთს ენა ჩაუვარდებოდა მუცელში!

მასხრად აგდებაზე მეტია, როცა აშკარად ამერიკიდან თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას – „ბილწებთან ზავით შეკვრას“, ურცხვად ჩვენ გვაბრალებს ქართული ოცნება, თითქოს, ეს ყოფილიყოს ქართველი ხალხის მოთხოვნა, და არა – ნაცხროვის გასამართლება! **ასეთ უტიფრობას შესატყვისი სახელიც არ მოეძებნება, შეურაცხყოფილ, გამწარებულ და ქართული ოცნებისგანაც(!) გაბითურებულ კაცს, ასეთ დროს, მხოლოდ ერთი გავრცელებული, გამოთქმა მოადგება პირზე: „მაშ, მტყუნის...“!**

იაკობ ლეჟავა,
2 აპრილი, 2014.

◎ ალიან-ჩალიანი

მატათა მოციქულის საფლავის მოსაწყობად კონკურსი გამოცხადდება

ამის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ გუშინ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრაზე განაცხადა.

სააგენტოს ხელმძღვანელის შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

შეხვედრის დასაწყისში ნიკოლოზ ანთიძემ აღნიშნა, რომ გონიოში წმინდა მატათა მოციქულის საფლავის მოსაწყობად პროექტზე კონკურსი წელს გამოცხადდება, სააგენტოს ხელმძღვანელმა პატრიარქს ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება სთხოვა. გარდა ამისა, ნიკოლოზ ანთიძემ პატრიარქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა, კონკრეტულად იმ უძველესი მართლმადიდებლური ტაძრებისა და ფრესკების ჩამონათვალი გააცნო, რომელთა კონსერვაციარეაბილიტაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უნდა განახორციელოს. ნიკოლოზ ანთიძემ აღნიშნა, რომ წელს დაიწყება ანჩისხატისა და მეტეხის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ინტერპრესი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 72

ნაციონალები არსადაც არ წასულან!

ოჰ, ეგ ნაძირალა ნაციონალები!

— ესენი სატანის ნაბუშრები კი არა, მისი ღვიძლი შვილები არიან, — მითხრა ქვეყნის მოჭირნახულე, ჭარმაგმა მეგობარმა.

ოღონდ ეგ არ უთქვამს, თუ რა განსხვავებაა ღვიძლსა და ნაბუშარს შორის.

— ეგენი ხომ ერთთავად იმის ცდაში არიან, თუ როგორ ავნონ საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, — დასძინა ბოლოს.

წყალი არ გაუვა, რომ ასეა.

არადა, რუსთავ-ქალაქს, მათი დიდი წინაპარი სატანის, ბერქა ყაენის მიერ სამასიოდ წლის წინ, მიწის პირისაგან პირწმინდად აღგვილს, ბრძენი მამულიშვილებისა და მთელი ერის მიერ ხელახლა აღორძინებულ აყვავებულ ინდუსტრიის კერას, ამათ რა დამართეს?

1969 წელს კოლხურ კოშკში, ქართული სიტყვის მეციხოვნე დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ინტერვიუსათვის მისულ ჭაბუკ ჟურნალისტს მიბრძანა: „ყმაწვილო, რუსთავი საქართველოსათვის მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი მონაპოვარია, ქვეყნის კარიბჭედ უფალმა გვიბოძა და გაუფრთხილდით, უპატრონეთ!“

2005 წლის ნოემბერში, ქვეყნის აღმშენებელი პრეზიდენტი რომ გვეგონა, დიდი დავით აღმაშენებლის საფლავთან ფიცი რომ დადო, ავადსახსენებელი მიშა მეტალურგებთან სტუმრობისას დაგვპირდა, მალე აქ 8 ათასი კაცი დასაქმდება, აგაყვავებთო. 8 ათასი კაცი მაშინ მარტო ერთ საწარმოში მუშაობდა. ჰოდა, იქიდან დაიწყო ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უნიკალური კომბინატის, მერე კი ქალაქის დანარჩენი, 44 წვრილი თუ დიდი სამრეწველო საწარმოს ნგრევა და გაჯართება.

დღეს ორი თუ სამი კინკილა ქარხანაღა მუშაობს, ისიც სანახევროდ გამოშიგნული.

ყველა ყველა, მაგრამ ამ ვერანა ნაცემ-ნაცხებს ის მაინც რამ მოაფიქრათ, მერიის წინ მოედანი გადაეკეტათ და ქარხნებისაკენ მიმავალი ძირითადი, მოკლე გზა გადაეკეტათ. ეს ხომ სიმბოლურადაც მრეწველობის ჩახშობა-ჩაკვლას ნიშნავს.

მიზეზი სახალხო სეირნობის მოწყობა გახლდათ. დადგეს ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, თითქოს იქვე ჩინებული ხეივანი არ იყოს, რომლის რეაბილიტაციას ცოტა თანხა დასჭირდებოდა, ვიდრე მოედნის რეკონსტრუქციას. ას მეტრში კი კულტურისა და დასვენების ულამაზესი პარკია თავისი ტბით და ვერხვნარით.

ანდა რა ესეირნებათ უმუშევრად დარჩენილ რუსთაველებს?! რეფორმატორების მიერ გატარებულმა რეფორმებმა, „საბაზრო ეკონომიკამ“ ყველაზე დიდი დაღი ინდუსტრიულ რუსთავს დაასვა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მერიის ულამაზესი შენობის წინ, წიწვოვანი ხეების ადგილას ორი „ყაზარმა“, უსახური ნაგებობა ჩადგეს, შუაში კი თავიანთი ფერის ოცამდე ჯუჯა თოჯინასმაგვარი კაცუნები დადგეს.

ამ დროს კი ტრანსპორტი გარს უვლის მოედანს. სადღაც, ვიწრო ჩიხების გავლით უხდებათ რუსთაველებს დანიშნულების ადგილამდე მისვლა.

ჰოდა, ყველაფერი ეს ნაციონალების სატანური ნაფიქრალის შედეგია.

არადა, ქვეყანა რომ შეძრა, ქალაქში ერთ სამუშაო ადგილსაც ვერ იშოვი. ამ დროს ყოველწლიურად ათასზე მეტი ახალგაზრდა ტოვებს სკოლის მერხს, იქიდან, ვინც ეწყობა, მუშაობის პერსპექტივა არ აქვს, ვინც ვერ ეწყობა, ხომ განწირულია ქუჩისათვის.

სხვები უცხოეთში იხვეწებიან. მათი ცხოვრება იქაც ტრაგიკულია. ახლახან უკრაინაში კიდევ ერთი, მესამე რუსთაველი დაიღუპა. ქალაქს მომავალი არ უჩანს.

რუსთაველებისათვის სანატრელია ქალაქში პირველ ხელმძღვანელად და შემდგომ სამაგალითო პარლამენტის დეპუტატად ჟიული შარტავას მუშაობის პერიოდი. მის დროს ქალაქს მეტი ყურადღება ექცეოდა. სამწუხაროდ, ბატონი ჟიულის მიერ გაყვანილი 34 კილომეტრის სიგრძის უნიკალური წყალგაყვანილობა, ასევე საბავშვო რკინიგზა, დღეს განადგურებულია.

მერედა, ნაცები რა შუაში არიან, რა ხანია ისინი გადაჯიშდნენ, ახლა ხომ „ოცნება“ მართავს ქვეყანასო, შემომედავებიან.

არა, ბატონებო, არ დაიჯეროთ. აბა, მიდით და ჰკითხეთ რუსთაველებს — ვის ხელშია საკრებულო? ბიუჯეტი? ძალაძის მერს არავინ არაფერს ეკითხება, უფრო მეტიც, ახლა ადგილობრივი არჩევნებისათვის ისე საგულდაგულოდ, ორგანიზებულად ემზადებიან, წყალი არ გაუვა, თავიანთ კანდიდატს ისევ წამოასკუპებენ მერის ადგილზე.

თუ რუსთავში საკრებულო ნაციონალების საპარპაშოა, თბილისში მერია ისევ ძველებურად უბერავს თანამდებობიდან გადაყენებულ გიგი უგულავიანად.

აი, რა მიამბო ერთმა ჩემმა მეგობარმა, ბიზნესმენმა, ნაღდმა ქართველმა, ქვეყნისათვის გულშემატკივარმა:

— ამ ცოტა ხნის წინათ, ტელევიზიით ვნახე გადაცემა, სადაც გიგა ბათიაშვილის თაოსნობით არქიტექტორთა ჯგუფის მონაწილეობით სოლოლაკის ტერიტორიის განაშენიანების პროექტი იხილებოდა. აქვე იყო ცნობილი ჟურნალისტი, თბილისის ამქრის წინამძღოლი ალექსანდრე ელისაშვილი. შეკრებილნი უძველესი უბნის, ერეკლეს მოედნის განახლებაზე მსჯელობდნენ და გამიხარდა. აი, უკვე დაიწყო საქმისადმი ახლებურად მიდგომა, ამიერიდან საზოგადოების ჩართულობა მოხდება-მეთქი. არადა, ეგერ რიყის ტერიტორიას რა უბედურება დამართეს ნაციონალებმა. რა განუკითხაობა სუფევდა ქვეყანაში.

მაგრამ ვაი, რომ ბევრი რამ ისევ მოჩვენებითია. რა უყვეს გმირთა მოედანს! როგორ მახინჯდება სპორტის სასახლის უმშვენიერესი მოედანი, კერძოდ, სკვერში ჩადგმული რაღაც კომერციული ნაგებობა მაქვს მხედველობაში. ეგ კიდევ არაფერი, იქვე, მიწისქვეშა ჩასასვლელთან, შავად შეღებილი მზეჭაბუკის წინ (რას ერჩოდნენ?) ააშენეს რაღაც გაუგებარი სიმახინჯის შენობა, ვითომ საშაურმედ, რა ამბავია ამდენი საშაურმე, ისიც სპორტის სასახლის წინ?! ამისთანა უსახურმა ნაგებობებმა ლამის წალეკოს თბილისი.

განუკითხაობა კი ისევ გრძელდება. იქვე მზეჭაბუკის ქანდაკების მახლობლად 5-10 მეტრში შენდება სამსართულიანი შენობა, რომელმაც კიდევ უფრო დაამახინჯა მიმდებარე ტერიტორია.

რიგითმა ბიზნესმენმა რომ მოისურვოს, საუკეთესო არქიტექტორების მიერ შესრულებულ, ქალაქისთვის საჭირო ნაგებობის მშენებლობა, არც ერთი ქალაქის საკრებულო და მერია სათოფეზე არ გაიკარებენ. სამწუხაროდ, ისევ ფულითა და ძმაკაცობით წყდება სახელმწიფოებრივი საკითხები. ნაცები ისევ პარპაშობენ. ოცნების მოიმედეთ, ტელევიზორები ვერ ჩაგვირთვია, უმცირესობის პარლამენტარებმა უმრავლესობას ლამის თავზე გადაუარონ.

საინტერესოა, სასახლის მეზობელი ქუჩების მობინადრე პოლიტლიდერები: შალვა ნათელაშვილი, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე რატომ ხმას არ იღებენ, მათ თვალწინ რომ ნადგურდება და უსახურდება იქაურობა, არ ადარდებთ?

ხალხში იმასაც კი ამბობენ, ეს მეოცნებე პარლამენტარების ფანდია, გვაშინებენ, ფრთხილად იყავით, თორემ ნაციონალები დაბრუნდებიანო.

ეს ტელევიზიები ხომ ტვინის გამორეცხვაზე მუშაობენ, სიცოცხლეს გვაძულებენ, განსაკუთრებით „რუსთავი-2“. არადა, ამბავი ხომ უნდა მოისმინო, რა ხდება ქვეყანაზე?!

* * *

კალამი ხელში ჩემი მეგობრის საწუხარმა ამაღლებინა. რუსთავი გადასარჩენიაო, მითხრა. ამ ერთი თვის წინათ დავით აძუბარდიას ეთერში მოწვეული ჰყავდა მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ეს ამბავი ვიცოდი და დავითს ვთხოვე რუსთავზეც შეკითხვოდა. ჩემდა სამწუხაროდ, „მდგრადმა“ მინისტრმა ჩემს ძალაძზე ვერაფერი თქვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას წარმოდგენა არა აქვს ძველი ინდუსტრიის ფლაგმანზე. ჰოდა, რა გასაკვირია, მერიის წინ მოედანი ისევ რომ გადაღობილია, რუსთავს უმუშევრობა და უპერსპექტივობა კლავს.

და კიდევ ერთი რამ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წინ მდებარე სკვერში, ამ ნახევარი საუკუნის წინ იმ კაცის ბიუსტი იდგა, ვინც ეს ქალაქი ააღორძინა, ააშენა. მერე კი ის ბიუსტი ისე გააქრეს, მის კვალს ეშმაკიც ვერ მიაგნებს.

ახლა ის სკვერი გადაბარულ-გამწვანებულია და შიგ მეზობელი ქვეყნის ფრიად პატივსაცემი, აწ გარდაცვლილი ალიევის ძეგლი დგას.

ქართველებს გვაქვს ერთი ასეთი გამოთქმა „ავი მეზობლის ჭირიმე და კარგი რაღა იქნებაო“.

გამოფხიზლდით და გააქტიურდით ოცნებელებო, გახსოვდეთ, რომ ნაძირალა ნაცები არსადაც არ წასულა...

გივი ჯაბუა.

რუსთავი-თბილისი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **მიშამ რომ „პატრიოტები“ გაზარდა, სად არიან, ისევ „პატრიოტები“ არიან, თუ აღარ უყვართ „უმიშო“ სამშობლო?**

● **სამგორის გამგებელი და მისი მოადგილე რომ იდიოტები არიან, ნათელია. ეს ჟურნალისტები კაი, მარა პროდიუსერებიც ძაან იდიოტები ხართ. დროშებს ვერ ცნობთ ხომ? იმიტომაა ჩვენი ტვ-ები მაღალი დონის.**

ვაი თქვენს პატრონს!

● **მოკლედ ლურჯი, წითელი და თეთრი უნდა ამოვიღო გარდერობიდან, ე მანდ სადმე იმ განათლებულ გამგებლის მოადგილეს არ გადავეყარო და არ მომასხას ერთი კალისტრა ბენზინი და არ მომაგდოს სპიჩკა!**

● **გთხოვთ წაიკითხოთ ბოლომდე და გაავრცელოთ თუ ჩათვლით საჭიროდ და მნიშვნელოვნად:**

სომხეთში ვარ გადაღებაზე..... ძალიან კარგი მეგობრები მყავს იქ, რომლებიც მართლა გულწრფელად გულშემატკივრობენ ჩვენ ქვეყანას და ჩვენ.....რომლებიც ჩვენზე არანაკლებად შეწუხებულები და შეშინებულები არიან იმით, თუ რას აკეთებს რუსეთი უკრაინაში....

დღეს ასეთი ხასიათის საუბარი მქონდა ერთ-ერთ ჩემ მეგობართან..... ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავიგე, რომელიც, დიდი იმედია, ჩვენმა დაზვერვამ და უს-მ იციან, მაგრამ მაინც დავწერ, რა იცი რა ხდება?..... მოკლედ, რუსებმა არც ისე დიდი ხნის წინათ გიუმრის სამხედრო ბაზაზე დაიწყეს სამხედრო ჰოსპიტლის მშენებლობა, პრინციპში უკვე ამთავრებენ. ... და რომელიც 1500 ადამიანზეა გათვლილი... დასკვნები ექსპერტებმა გააკეთონ..... მდაა.....

● **საქართველოს ციხეებში დარჩა 11 000 პატიმარზე მეტი. ციხეებში სად -ის მიერ ხდება შეკვეთილი მკვლელობები. ვიმეორებ, ევროსტანდარტებით პატიმრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოსახლეობის 10-11%. ასე, რომ 3500 პატიმარზე მეტი არ უნდა იმყოფებოდეს ციხეებში, მით უმეტეს ბევრი პატიმარი, არაადეკვატურ სასჯელს იხდის — ბევრიც სააკაშვილის დროინდელი, უკანონო პატიმარია, ასე რომ ახალი ხელისუფლება ვალდებულია იზრუნოს ამ საკითხზე...**

● **დამუხრუჭდა ხუდონჰესობის თემა... 8 თვით გადაიწია მშენებლობის ნებართვის გაცემამ ოფიციალურად. არჩევნებს გადააგორებენ და მერე მოუბრუნდებიან ისევ.. აბა, თქვენ იცით ახლა პატივცემულო ამომრჩევლებო, გაიმაგრეთ ადგილებზე პოზიციები, რომ 8 თვის მერე უკვე კანონის და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების ამოქმედებით დაიცვათ თქვენი პოზიციები.... ჰა ბურთი და ჰა მოედანი თქვენ!**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

მექსიკაში საქართველოს კვირეული მიმდინარეობს

მექსიკაში მიმდინარე საქართველოს კვირეულის ფარგლებში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, მექსიკის სენატსა და დეპუტატთა პალატაში გამოფენები Esplendor de Georgia (საქართველოს ბრწყინვალება) და Esplendor de Georgia (სანახაობრივი საქართველო) მოეწყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მნახველს საშუალება ჰქონდა, ეხილა საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ფოტოების კოლექცია და ფოტოგრაფ ბადრი ვადაჭკორიას საქართველოს ბუნებისა და ისტორიული ადგილების ამსახველი ფოტოსურათები.

გამოფენებს ესწრებოდნენ სენატორები, სენატის აპარატის თანამშრომლები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

ღონისძიებებზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მექსიკაში მალხაზ მიქელაძე, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი გილერმო მორფინი და საქართველო-მექსიკის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის პრეზიდენტი მარტა სოსა გოეგა. მისასალმებელი სიტყვით წარსდგა ასევე სენატის ვიცე-პრეზიდენტი ანა ლილია ერერა ანსალდო. მან სენატის პრეზიდენტის სახელით გამოხატა მზაობა და სურვილი, გაღრმავდეს საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობა და მიესალმა საქართველოს მხრიდან აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო თანამშრომლობას და მეხიკოში საქართველოს საელჩოს აქტიურობას საქართველოს წარმოჩენის პროცესში.

ინტერპრესი

დასაწყისი 9 აპრილი იყო

კიდევ ერთი ცხრა აპრილი აღვნიშნეთ – თანამედროვე საქართველოს გმირობის ფურცელი. ვიხსენებთ აპრილის ბობოქარ დღეებს, ერთად შეკრულ ხალხს, დისიდენტური მოძრაობის ლიდერებს, მათ მგზნებარე გამოსვლებს, იმჟამინდელ ხელისუფლებას, როგორც აქაურს, ისე იქაურს – ცენტრალურს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების „ბტრ“-ებს, მათ წინააღმდეგ ჯოხებით შეიარაღებულ ახალგაზრდას, პარლამენტის შენობის წინ მოედნის დემონსტრანტებისგან გაწმენდის ოპერაციას, მსხვერპლს. ვიხსენებთ და ქედს ვიხრით პარლამენტის წინ არსებულ დაღუპულ გმირთა მემორიალთან.

ბევრი დაიწერა და ითქვა 9 აპრილთან დაკავშირებით. მომავალშიც დაიწერება და ითქმება. ახალი „ფაქტებიც“ გამოვლინდება – სენსაციური, დეტექტიური რომანების მსგავსი.

დღეს წარსულში მოვიხსენიებთ. გაივლის დრო, სამარადისო სასუფეველში წავა იმჟამინდელი თაობა და თან წაიღებს 9 აპრილის ტკივილს. მოვლენ ახლები, სხვაგვარი შემართებით, ფსიქოლოგიით, ცხოვრებისადმი გაცილებით მეტი მომხმარებლური დამოკიდებულებით – დროის მოთხოვნიდან გამომდინარე და ისინიც გაიხსენებენ ცხრა აპრილს, თუმცა, ნაკლები ტკივილით, ნაკლები შემართებით. გაიხსენებენ იმიტომ, რომ უნდა გაიხსენონ და მეტი არაფერი. შემდეგ სხვები მოვლენ, ნაკლები პათოსით. და ნელ-ნელა 9 აპრილის გმირობის დღე შორეულ მოგონებად დარჩება, ვინაიდან მომავალთათვის წინაპართა აღწერილი ნაკლებად დამაჯერებელი იქნება, უფრო სწორად – გაუგებარი.

ბევრი კითხვა გაჩნდება – რატომ და რისთვის. ბევრიც იტყვის, რა საჭირო იყო მსხვერპლიო და ა.შ. ფიქრს, განსჯას ვერავის დაუშლი და რახან ასეა, სხვა მოსაზრებაც იქნება. როდესაც ახალგაზრდა ქალი ტელეეკრანიდან იტყვის – აფხაზეთის ომი წინა თაობის „კაიფი“ იყო, ჩვენ თაობას სხვა აქვს „საკაიფოო“ – ზემომოყვანილი „დავიწყების“ თემა აქტუალურად მოსჩანს.

ცხრა აპრილი მარტო თავდადება არ ყოფილა. ცხრა აპრილი ერის ცხოვრებაში სხვაგვარი შემობრუნების თარიღი იყო. იმ დღიდან მოყოლებული დაიწყო საქართველოს სხვაგვარი განვითარება, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა. ცხრა აპრილმა საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა, მეტადრე მისი ინტელიგენცია აამხედრა საბჭოური ცხოვრების წინააღმდეგ. მათ აღარ მოეწონათ ის, რასაც ათეული წლების განმავლობაში უმღეროდნენ, ემსახურებოდნენ.

მათ აღარ მოსწონდათ მოსკოვიდან წამოსული მმართველობა. მათ თავიანთი თავის ბატონ-პატრონობა უნდოდათ, ყოველგვარი კრემლისა და პოლიტბიუროს გარეშე. და რახან ეს უნდოდათ, შეიძულეს ქვეყნის მმართველობა და მმართველები, მეტადრე კომუნისტები, კომკავშირელები და ეროვნული მოძრაობა ერის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა.

ცხრა აპრილის შემდეგ დაგროვილმა ბოღმამ გააათკეცა სისტემის ცვლის აუცილებლობა, რაც სულ მალე რეალობაში გადაიზარდა. 1990 წლის შემოდგომაზე ჩატარებულმა პირველმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა წერტილი დაუსვა კომუნისტური სისტემის 70-წლიან ბატონობას.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, მოწინავე საბჭოთა საქართველომ იოლად, ერთი ხელის მოსმით, მოიშორა კომუნისტური ტყავი და სხვით, ერთობ გაურკვევლით შეიმოსა.

9 აპრილიდან აღებულმა სტარტმა ხელისუფლებაში ახალი, არაკომუნისტური მთავრობა მოიყვანა, განსხვავებული იდეალებითა და მისწრაფებებით, რომელთაგანაც უპირველესი აღნიშვნის ღირსია 1991 წლის მარტის რეფერენდუმი – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა-არყოფნის შესახებ.

არ გვინდაო! – ითქვა მოკლედ და კონკრეტულად. შემდეგ?

შემდეგ იყო პრეზიდენტის არჩევნები, მმართველი კოალიციის – „მრგვალი მაგიდის“ გახლეჩა, დაპირისპირება; სამოქალაქო ომი; არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდება, ქვეყნიდან განდევნა; კომუნისტების დროინდელი მეთაურის მოსკოვიდან ჩამოყვანა. გაურკვეველი სახის „კვარტეტის“ მმართველობა (შევარდნაძე, იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი), ისევ არჩევნები, აფხაზეთში შეჭრა, ათასობით საქართველოს მოქალაქის სიკვდილი.

მაგრამ მანამდე იყო მთავარი – საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის გორბაჩოვის მიერ საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცხადება. ამ ამბავმა თბილისის ომში ჩართულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას 1991 წლის დეკემბერში მოუსწრო, მაგრამ მისი აღქმის თავი არც გამსახურდიას ჰქონდა და არც სასტუმრო „თბილისში“ დაბანაკებულ ოპოზიციას.

თბილისის ომმა საბოლოოდ არია ქვეყანა და თანაც ისე, რომ ძალი პატრონს ვეღარ ცნობდა. ამ არეულობას, მეორე, არანაკლებ „მცირე“ არეულობა მოჰყვა – აფხაზეთის ომის, ოსეთთან უმძიმესი სისხლიანი დაპირისპირების სახით.

პატარა საქართველოს ცენტრსა და ავტონომიებში მომხდარმა სისხლისღვრამ გამოუსწორებელი კვალი დაამჩნია ერს. მისთვის ყოველდღიურობად იქცა „მხედრიონელთა“ თარეში, ძარცვა-ხოცვა, ნგრევა, ყაჩაღობა, ერთმანეთის გაუტანლობა, უშუქობა, უგაზობა, უხელფასობა, უპურობა. სულ რაღაც 2 წელიწადში, ერთ დროს ამაყი, შეუპოვარი, შრომისმოყვარე, მოყვრისგამტანი, სხვათა გამტანი ერი ლამის საწინააღმდეგო თვისებებით აღიჭურვა. იქედან მოყოლებული დღემდე ასე ვართ.

მორალურად და სულიერად დაცემულ ერს მხსნელად მოევლინა ჩვენთვის უცნობი დასავლეთი, აშშ-ს სახით. „ნუ გეშინიათ, აქ ვარო“ – და ლამის „აურაცხელი ბედნიერება“ დაგვაბერტყა თავს. ჩვენც მივენდეთ, შევიყვარეთ – პატრონიც ამას ჰქვიაო – ვთქვით და უმალ გავუხსენით საკუთარი გულის კარი.

დასავლეთთან ურთიერთობის არმცოდნეებმა, თავი ბედნიერად ჩავთვალეთ და გუშინდელი პატრონისგან თავდაცვის მიზნით, ახალ პატრონს ჩავეხუტეთ. მანაც, თითქოს ჩაგვიხუტა, თუმცა, გაგვაფრთხილა – ნამდვილი ჩახუტებისთვის ბევრი რამ ისეთი უნდა გააკეთოთ, ჩვენ რომ გვინდაო.

არც ერთი საბჭოთა რესპუბლიკა, თუ აზერბაიჯანს არ მივიღებთ მხედველობაში, არ მოჰყოლია საბჭოთა ნანგრევებში, ისე როგორც ჩვენ. დღესაც ვერ ამოვსულვართ ამ ნანგრევებიდან.

დასაწყისი – 9 აპრილი იყო – თავისუფლებისთვის თავდადებული დღე.

თბილისის, ვილნიუსის, ბაქოს მოვლენებს დღეს სხვაგვარ შეფასებას აძლევენ, უფრო სწორად, ამ მოვლენების გამომწვევ ფაქტორებს. საბჭოეთის დაშლის მიზეზებსა და ინიციატორებზე არაერთი ვერსია, ფაქტებზე დაფუძნებული ამბები ხვდება დღევანდელთა განხილვის ცენტრში. და ამას, ყველაფერს იქ აქვს ადგილი, ყოფილი საბჭოეთის გული რომ ჰქვია.

ექსპერტთა აზრით, რომელიც სიღრმისეულ კვლევებს და საღ განსჯას ეფუძნება, ბაქოს, თბილისის, ვილნიუსის მოვლენები, „წითელ მოედანზე“ გერმანელი მოყვარული ახალგაზრდა მფრინავის დაშვება, „გკჩპ“ და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც მოხდა საბჭოეთის ბოლო წლებში, იმჟამინდელი ლიბერალ ხელისუფალთა – გორბაჩოვის, იაკოვლევის და მათთან მიახლოებული შევარდნაძის მსგავსი მოხელეების ნაზრევის შედეგია.

9 აპრილიდან დაწყებულმა მრავალწლიანმა ამბავმა, ერთობ არასასიამოვნომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ნათლად დაგვანახა, რომ „ბორჯომით“ გადარჩენილი ეკონომიკა ისეთივე ვირტუალურია, როგორიც ნატო-ევროკავშირში გაწევრებული საქართველო

მიზანი – საბჭოთა კავშირის დაშლა, კომუნისტური სისტემის დაშლა, პარტიის მოწინავეობისა და ქვეყნის წარმმართველი ძალის გაუქმება და ამ გეგმის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიელებისა და სამხედროების თავიდან მოშორება. მარტო მფრინავ რუსტის წითელ მოედანთან ახლოს დაჯდომას, უმალ მოჰყვა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 600-მდე გენერლის სამსახურიდან გაგდება.

ბაქოს, თბილისის, ვილნიუსის მოვლენებით, განსაკუთრებით თბილისის 9 აპრილით, მოხდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დისკრედიტაცია. და არა მარტო შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო უშიშროების სამსახურისაც. რუსტის ამბავი ამას წინათ გაიხსენეს მოსკოვის „თოკ-შოუში“, რომელშიც იმჟამინდელი სამხედროები და ექსპერტები იღებდნენ მონაწილეობას. ყველა მათგანმა თქვა, რომ რუსტის მიერ საბჭოთა საჰაერო სივრცის დარღვევა უმალ დაფიქსირდა რადარებზე და ის-ის იყო უნდა ჩამოეგდოთ, რომ მოსკოვიდან ბრძანეს – არ ჩამოაგდოთ, დასვით საბჭოთა ტერიტორიაზე საწვავის მისაღებადო.

და თვითმფრინავი დასვეს, საწვავით შეუვსეს ავზები და გზა დაულოცეს მოსკოვისკენ. მოსკოვში ჩაფრენის შემდეგ კი რუსი სამხედროები სამსახურიდან გაყარეს – საჰაერო სივრცეში უცხო მფრინავი ობიექტის შემოპარვის გამო.

ექსპერტთა მტკიცებით, 9 აპრილი მოსკოვში დადგმული სპექტაკლი იყო, ცხადია, დრამატული, რომელსაც საბჭოეთისა და მისი შეიარაღებული ძალების დისკრედიტაცია უნდა გამოეწვია და საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა, ეროვნული მოძრაობის ლიდერებით ჩაენაცვლებინა – დროებით.

მხოლოდ დროებით, რაც არ არის გასაკვირი. იმჟამად ინტენსიურად მიმდინარეობდა სსრკ-აშშ-ს მეთაურების მოლაპარაკება. იმ დროს მოხდა ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანიის გაერთიანება, ვარშავის პაქტის დაშლა და ბოლოს ბელოვეჟის გარიგება – რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის პრეზიდენტებს შორის. მათი განცხადება საბჭოთა კავშირიდან გასვლის თაობაზე.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა უმალ ამცნო აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ-უფროსს – ამერიკის და არა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ გორბაჩოვს. ამ უკანასკნელსაც აღარაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოეცხადებინა.

ექსპერტთა მოსაზრებაში ეჭვის შეტანა ჭირს, ვინაიდან იმჟამად განვითარებული მოვლენები ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. 9 აპრილმა კარდინალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრება და თანაც ისე, რომ დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეუძლებელია, ისე, როგორც შეუძლებელია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების გამოსწორება. ეს ომიც, მართალია არა პირდაპირ, იმ არეულობიდან იწყება, რასაც 1989 წლის აპრილში დაედო საფუძველი.

რა იქნებოდა, რომ 9 აპრილის ტრაგედია არ მომხდარიყო? არც არაფერი! საქართველო, ისე, როგორც დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკები, ნელ-ნელა გადავიდოდა ახალ ცხოვრებაზე, თანაც ყოველგვარი ფიზიკური თუ მორალური დანაკარგების გარეშე. შეძლებდა პატიაშვილის ხელისუფლება ახალ მოთხოვნებთან, ახალ ცხოვრებასთან, საბაზრო ეკონომიკასთან შეგუებას? შეძლო გამსახურდიას ხელისუფლება ყოველივე ეს?

პატიაშვილის ხელისუფლებას ქვეყნის მართვის ნიუანსებში გარკვევა ნამდვილად არ ესაჭიროებოდა. პიროვნულად ის, პატრიოტობისა და ერის სიყვარულის თვალსაზრისით, თუ მეტი არა, სხვაზე ნაკლები ნამდვილად არ იყო. პატიაშვილი არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერს არ ჩამოუვარდებოდა. ზოგი მათგანი დღესაც მართავს ცენტრალური აზიის ქვეყნებს. არც 1992 წლის ომი მოხდებოდა და არც 2008 წლის. თუმცა, ვარაუდი და იმაზე ლაპარაკი, რა იქნებოდა 9 აპრილი რომ არ მომხდარიყო – აბსტრაქტული მსჯელობაა.

9 აპრილი მოხდა და ამ საქმეში ყოველივე ჩვენგანმა, დიდი თუ არა პატარა წვლილი მაინც შევიტანეთ. და შევიტანეთ იმიტომ, რომ თავისუფლება გვინდოდა. გვინდოდა, მაგრამ სიღრმისეულად შესწავლილი არ გვქონდა, როგორ მიიღწეოდა სანატრელი თავისუფლება; როგორ უნდა გვერჩინა თავი თავისუფლების დროს; რა ურთიერთობები უნდა გვქონოდა მეზობლებთან, სხვა ქვეყნებთან. საქართველო იმ უსუსურ, უმწეო ბავშვს ჰგავდა, შუაგულ ოკეანეში რომ ჩააგდეს და ცურვის უცოდინარი, ხელ-ფეხს რომ აფართხალებდა.

ცენტრალიზებულ სახელმწიფოში - ისეთში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო – ხალხის ფართო მასების განმანათლებლის როლი ინტელიგენციას ეკისრებოდა. რა გააკეთა ინტელიგენციამ? ნაცვლად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებისთვის საღი აზრი შეეთავაზებინა, თვით გადაიქცა მათი იდეების მხარდამჭერად, ვინაიდან ისინიც ისე ზერელედ უყურებდნენ მოვლენებს, როგორც საზოგადოების რევოლუციურად დამუხტული ბირთვი.

მათაც თავში ჰქონდათ ჩადებული, რომ საქართველო „ბორჯომითა“ და ჩაით შეინახავდა თავს, რომ საქართველოს კურორტებს უამრავი უცხოელი დამსვენებელი მოაწყდებოდა. მახსოვს, ერთ-ერთი ცნობილი კინორეჟისორის განცხადება – „ჩვენ მარტო კურორტების საგზურების ფულით ვიცხოვრებთო. დღეს, ეს საგზურები რუსეთში გაიცემა და ფულიც იქ შედისო“.

ინტელიგენციამ ორმხრივ თამაშს მიჰყო ხელი: ერთით – ოპოზიციასთან, მეორით – პატიაშვილთან. ორივეგან დივიდენდებს ელოდა. მისდა სამწუხაროდ, ეროვნული ხელისუფლებისგან „შესანიშნავი“ სახელი დაიმსახურა – „წითელი ინტელიგენცია“, მოგვიანებით კი სააკაშვილისგან – „ჩარეცხილები“.

ასეა ყოველთვის, როდესაც პოზიცია არ გაქვს. ასეა, როდესაც ვითარებას ზერელედ, გაუანალიზებლად იხილავ. ასეა, როდესაც ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში პირში წყალს იგუბებ. ასეა, როდესაც დღევანდელებივით, ნატო-ნატოს არ გაიძახი (ზოგი გაიძახის), მაგრამ პასიური მოქმედებით უნებლიე მხარდამჭერად ევლინები საზოგადოებას.

9 აპრილიდან დაწყებულმა მრავალწლიანმა ამბავმა, ერთობ არასასიამოვნომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ნათლად დაგვანახა, რომ „ბორჯომით“ გადარჩენილი ეკონომიკა ისეთივე ვირტუალურია, როგორიც ნატო-ევროკავშირში გაწევრებული საქართველო; რომ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა შორს არის ნამდვილისგან. და ამ ნამდვილის მისაღწევად შეგნებული ბრძოლაა საჭირო და არა ისეთი, ზედაპირული, როგორიც 9 აპრილს იყო.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ჯუმბერ პატიაშვილი

„ოცდასამი წლის შემდეგ“

პირადად მაწვდიან არაფორმალების მხრიდან გაუგონარ, აბსურდულ ულტიმატუმს, რომელიც მალევე ხდება საჯარო და უკვე ტელევიზიითაც გადის.

რეზო ჩხეიძის მოლაპარაკება მომიტინგეებთან და მათ ლიდერებთან უშედეგოდ დასრულდა.

უფრო მეტიც, მათ რეზო ჩხეიძეს განუცხადეს, რომ კატეგორიული წინააღმდეგები არიან ჯუმბერ პატიაშვილთან მოლაპარაკების და ითხოვენ, რომ მათთან მოლაპარაკებაზე კრემლის წარმომადგენელი ჩამოვიდეს!

ჩემთვის დღემდე აუხსნელია – როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა ამ ყველაფრის შესახებ ტელევიზიით მოისმინეს, რატომ არ გაუჩნდათ ლოგიკური კითხვები:

რატომ ამბობდნენ არაფორმალები ჩემთან, რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფალთან, შეხვედრაზე უარს და რატომ ითხოვდნენ კრემლის წარმომადგენლებთან შეხვედრას მაშინ, როცა, მათივე ლოზუნგით, ისინი კრემლს ებრძოდნენ?

როგორ შეიძლებოდა კრემლს დაეკმაყოფილებინა არაფორმალთა ლიდერების მოთხოვნა – საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლა?

ვინ ეგულებოდათ კრემლში ისეთი, ვინც მათ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა?

...და თუ ასეთი მართლაც არსებობდა, მაშინ გამოდის, რომ ამ ყველაფერს, რასაც ქართველი ერის დიდ პროტესტად ასაღებენ, უჩინარი „რეჟისორი“ სწორედ კრემლში ჰყავდა და პროცესები კრემლიდან იმართებოდა.

ღამით სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა.

სატელევიზიო მიმართვები გააკეთეს ინტელიგენციის და კულტურის წარმომადგენლებმა. საზოგადოებას საჯაროდ მიმართა მილიციის სამმართველოს უფროსმა რომან გვენცაძემ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა.

მთავრობის სასახლის წინ მომიტინგეთა რიცხვი კი კლების ნაცვლად, მატულობდა...

უშიშროების სხდომის შემდეგ როდიონოვი და კოჩეტოვი აღარ მინახავს. ღამის სამი საათისთვის ვცადე როდიონოვთან დაკავშირება, მაგრამ მან ტელეფონზე არ მიპასუხა.

ამის შემდეგ უკვე შოთა გორგოძეს დავურეკე და ვუთხარი:

– სასწრაფოდ დამიკავშირდეს როდიონოვი.

რამდენიმე წუთში მართლაც დამიკავშირდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალი.

– ძალიან ბევრი ხალხია. მთელი რიგი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, მათი რიცხვი, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, კი არ იკლებს, პირიქით, მატულობს... იქნებ გადაგვედო ოპერაციის ჩატარება, – ვეუბნები როდიონოვს.

– ამჟამად ადგილზე ვიმყოფები. სიტუაცია ჩვენს კონტროლს ექვემდებარება. გაძლევთ გარანტიას, რომ აქციას მშვიდობიანად დავშლით, ისე, რომ მომიტინგეებს ერთი „სინიაკიც“ არ ექნებათ, – კიდევ ერთხელ მიმეორებს როდიონოვი.

ამ სიტყვებს ოცდასამი წლის შემდეგ პირველად არ ვიხსენებ. 9 აპრილის შემდეგ მაისში მოსკოვში ჩავედი და კრემლში როდიონოვისა და კოჩეტოვის თანდასწრებით გავიმეორე.

არც ერთს არ გაუპროტესტებია, ორივემ დამიდასტურა, რომ ეს სიტყვები მათ თქვეს და პირობაც, რომ მშვიდობიანად, ყოველგვარი ნიჩბებისა და აირის გარეშე დაშლიდნენ აქციას, ორივემ მომცა.

შეთანხმებისა და სქემის მიხედვით ჯარისკაცებს მხოლოდ რეზინის ხელკეტები და ფარები უნდა ჰქონოდათ, რომელთაც ასევე მხოლოდ და მხოლოდ მომიტინგეების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გამოიყენებდნენ.

პირველი რამდენიმე დღე იმასაც უარყოფდნენ, რომ ჯარისკაცებს ნიჩბები ჰქონდათ და მსხვერპლის არსებობას იმით ხსნიდნენ, რომ ადამიანები ჭყლეტაში მოყვნენ... რაც შეეხება მხუთავი აირის გამოყენებას, ესეც მოგვიანებით გავიგე. პირველად პროფესორ ვახტანგ ფიფიასთან შევიტყვე, რომ დაზარალებულთა შორის მხუთავი აირით მოწამლულებიც იყვნენ...

იმ დროისთვის კი, ანუ 1989 წლის 8 აპრილის ღამეს, არ მქონდა არანაირი საფუძველი საიმისოდ, რომ გენერლის მიერ მოცემული გარანტიის არ მერწმუნა, მაგრამ ვგრძნობდი, იყო რაღაც ისეთი, რაც მე არ ვიცოდი.

ზოგადი ფონი თანდათან დაიძაბა, მომიტინგეები და მათი ლიდერები იმდენად არაადეკვატურად მოქმედებდნენ, რომ გარდაუვალ საფრთხეს უკვე ეჭვითა და გონებით კი არა, სხეულით ვგრძნობდი...

ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი ამოწურულია.

7 აპრილს მე მივმართე საზოგადოებას ტელევიზიით. 8 აპრილს არ შეწყვეტილა სატელევიზიო მიმართვები როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირების, ასევე საზოგადო მოღვაწეების მხრიდან. ყველა გაფრთხილება, ყველა თხოვნა უკვე გამოთქმულია. საზოგადოებამ იცის ისიც, რომ ქალაქში ჯარია შემოსული...

მომიტინგეები კი ბარიკადებს ამაგრებენ, დაშლის ნაცვლად, მათი რიცხვი მატულობს. ისმის არაფორმალთა ლიდერების საზეიმო შეძახილები. ხალხი ტაშს უკრავს, მღერის, ცეკვავს... ყველა თავის სტიქიაშია...

ამ ყველაფრის ფონზე უკვე ცხადი ხდება, რომ ადამიანური შესაძლებლობები ამოწურულია, რჩება მხოლოდ უფლის იმედი...

ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ცნობილი სპორტსმენი და, ამავე დროს, პოლიციელი მერაბ ღუდუშაური გავგზავნოთ, რომელიც უწმინდესს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საქმის კურსში ჩააყენებს.

ერთადერთი ხსნა და რეალური იმედი იმისა, რომ ოპერაციის ჩატარებამდე მომიტინგეების დაშლა შესაძლებელი იქნებოდა, ილია მეორის მობრძანება იყო.

არაფორმალები ჩვენ, კომუნისტებს, ათეისტებს გვეძახდნენ, თვითონ კი, მიუხედავად იმისა, რომ აქციებს „მამაო ჩვენოს“ წაკითხვითა და ანთებული სანთლებით იწყებდნენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნაც არ გაითვალისწინეს.

„მე ახლა მაცნობეს, რომ საშიშროება რეალურია. შეიძლება ამ საშიშროებამდე დარჩა სულ რამდენიმე წუთი. ჩემო სულიერო შვილებო, გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ აბრძანდეთ ახლა, წავიდეთ ერთად ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და მადლობა შევწიროთ უფალს“, – ბრძანა დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე აქციაზე მისულმა უწმინდესმა. მაგრამ აქციის ორგანიზატორებმა, ჩვეული ორატორობითა და ემოციური მანიპულაციებით, მომიტინგეებს მოუწოდეს, პატრიარქისთვის არ დაეჯერებინათ!..

წლების შემდეგ აქციის ერთ-ერთი მონაწილე, მწერალი დათო ტურაშვილი, თავის ისტორიულ რომანში „იყო და არა იყო რა“ ასეთ დეტალს იხსენებს: **„პატრიარქმა მოგვიწოდა, ქაშუეთში ჩავსულიყავით და იქ გველოცა, რასაც მაშინვე** იყო გაწერილი, ოპერაცია ისე არ ჩატარდა, გორგოძემ ქართული მილიცია არ გამოიყვანა და შედეგად ჯარი და მომიტინგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ!

ორივე ერთმანეთისკენ იშვერდა ხელს.

შედეგად: 9 აპრილის ტრაგედიაგამოვლილმა ქართველმა საზოგადოებამ ქართული მილიცია გმირად შერაცხა. ამიერკავკასიის ჯარები კი – ჯალათად...

ამ დროს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მე ვიყავი და მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა მე დამეკისრა. უფრო სწორად, თავად დავაკისრე საკუთარ თავს!

ჯერ მხოლოდ სამი ადამიანის გარდაცვალებაზე მქონდა ინფორმაცია, როდესაც ბიუროს წევრებს განვუცხადე, რომ თანამდებობიდან გადავდექი.

სამ დაღუპულს შორის ორი ქალის არსებობა გადამწყვეტი აღმოჩნდა, რასაკვირველია, მსხვერპლი მსხვერპლია, მაგრამ კაცი კიდევ შეიძლებოდა შეტაკების ან წინააღმდეგობის გაწევის დროს დაღუპულიყო, აი, უმწეო ქალების სიკვდილი უკვე იმაზე მიუთითებდა, რომ აქციის დაშლა კი არა, დარბევა მოხდა.

გამთენიისას ცენტრალურ კომიტეტში ჩემი უფროსი ვაჟი მოვიდა.

მაშინ ის 16 წლის იყო...

მას უკვე გამოვლილი და საკუთარი თვალით ნანახი ჰქონდა დარბეული რუსთაველის პროსპექტი...

– ახლა არ გადადგე, მამა, გთხოვ... დაამტკიცე შენი უდანაშაულობა და მერე გადადექი...

ვერ შევუსრულე ეს თხოვნა და დღემდე თუ რამეს ვნანობ, სწორედ ესაა.

დილით მსხვერპლის რიცხვი თანდათან გაიზარდა...

თექვსმეტი დაღუპულიდან ცამეტი ქალი იყო, არც ერთი ორგანიზატორი და ლიდერი არ დაშავებულა... მხოლოდ უმწეო ქალები?.. როგორ გადარჩნენ უვნებლად აქციის ორგანიზატორები ან მომიტინგე მამაკაცების უმრავლესობა?..

არავინ ლაპარაკობს ე. წ. ეროვნული მოძრაობის ლიდერების პასუხისმგებლობაზე. ხალხი მათ შეკრიბეს, არასანქცირებულ აქციებსაც ისინი ატარებდნენ... არავის ახსენდება მათი წილი პასუხისმგებლობა, არც კანონის წინაშე და არც მორალური თუ სულიერი თვალსაზრისით.

9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით ისეთი ფონია შექმნილი, თითქოს ქვეყანას დღესაც არ აქვს პასუხი კითხვაზე – ვინ დაგეგმა და განახორციელა ეს ტრაგედია?.. ვის ინტერესებში შედიოდა იგი?..

მე რომ არც დამგეგმელი ვარ და არც განმახორციელებელი, ეს ცხადია. ყველა ადამიანურ ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, საკუთარი სახელის დისკრედიტაცია და თანამდებობიდან გადადგომა არც ერთი ხელისუფალის ინტერესებში არ შედის.

ცხადია ისიც, რომ ნებისმიერი ტრაგედიის დაგეგმვა და განხორციელება მათ ინტერესებს ესადაგება, ვინც ტრაგედიის შედეგებით ხეირობს.

ერთი მხრივ, შევარდნაძე გრძელვადიანი პერსპექტივით საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა...

მეორე მხრივ, კრემლსა და სუკ-ს თავისი ინტერესები ჰქონდათ...

მესამე მხრივ, ე. წ. ეროვნული მოძრაობა და მათი ლიდერები აღზევდნენ, რაც მალევე დაგვირგვინდა კიდეც მათი ხელისუფლებაში მოსვლით...

საზოგადოებამ დღემდე არ იცის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებაც, რომელიც რატომღაც ერთგვარ საიდუმლოდ დარჩა:

9 აპრილის ღამეს ჯარისკაცებიც დაზარალდნენ.

მათ შორის ერთ-ერთს ლურსმნებჩარჭობილი ფიცარი მოხვდა არტერიაში და კლინიკური სიკვდილი ჰქონდა.

ძლივს გადაარჩინეს, მაგრამ სწორედ მისი გადარჩენის გამო როდიონოვმა იაზოვისგან სასტიკი საყვედური მიიღო:

– რატომ გადაარჩინეთ? დაე, მომკვდარიყო ის ერთი ჯარისკაცი, სამაგიეროდ, მოგვეცემოდა საბაბი, სამაგალითოდ დაგვესაჯა მომიტინგეები! – ასეთი იყო იაზოვის პოზიცია...

თავის მხრივ, ე. წ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგანაც გამოვიდა ხმა, რომ ზოგიერთები წუხდნენ, გენოციდის აღიარებისათვის საკმარისი რაოდენობა მსხვერპლით რომ არ დასრულდა 9 აპრილის ტრაგედია...

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, არსებობს ადამიანის გონება და ცნობიერება, რომლიდანაც ფურცლებს ვერ ამოხევ... ვერც ისტორია ეგუება გაყალბებას.

9 აპრილის შემდეგ ოცდასამი წელი გავიდა.

დამოუკიდებლობაც მოვიპოვეთ და დამოუკიდებელ საქართველოს აგერ უკვე რიგით მესამე პრეზიდენტი ჰყავს. სამივეს პრეზიდენტობის დროს დაარბიეს მიტინგები, უდანაშაულო ხალხიც არაერთხელ დაიხოცა, იყო სამოქალაქო ომიც, დავკარგეთ ტერიტორიები – აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც, დავკარგეთ ათიათასობით ქართველი და ასიათასობით დევნილად იქცა...

მაგრამ არც ერთ მათგანს, როგორც დამარცხებულ მთავარსარდალს, მარცხზე პასუხისმგებლობა არ აუღია. ყველამ რუსეთისკენ გაიშვირა ხელი... არადა, თუ ვინმეს რუსეთისათვის ყველაფრის დაბრალების შანსი და მორალური უფლება ჰქონდა, ეს მე ვიყავი!

მე არ ვყოფილვარ დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელი!

მე მხოლოდ საბჭოთა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი!

ამას ისტორიული სამართლიანობისთვის ვამბობ, თორემ ამით ჩემი სატარებელი ჯვარი არც მსუბუქდება და არც მძიმდება...

მოჰყვა უარყოფითი რეაქცია და ხალხმა დაიჩოქა, ხმამაღლა თქვა „მამაო ჩვენო“ და ანთებული სანთლების სიჩუმე ირაკლი წერეთელმა ომახიანად დაარღვია. აშკარა იყო, რომ ტექნიკა და ჯარი მოედნის მხრიდან ჩვენკენ დაიძრებოდა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ ჩვენ ვეღარ დავიშლებოდით და მივხვდი, შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა.

ჯერ კიდევ წინა საღამოს (ტანკებმა რომ შესაშინებლად ჩაიარეს), ყოველ შემთხვევისთვის, ორასამდე რკინის მილი (რაღა დასამალია და) ბიჭებთან ერთად ქაშუეთის ეზოში გადავმალეთ. შეტაკებამდე აღარაფერი იყო დარჩენილი და ყველანი გავაფრთხილე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო რკინების გამოყენება“.

ამის შემდეგ ვიღაც რომ იტყვის – პატიაშვილი აქციაზე რომ გამოსულიყო, 9 აპრილის ტრაგედიას თავიდან ავიცილებდითო – იმას ან გონება არ აქვს, ან სინდისი!..

ვინ ვიყავი მე?

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კომუნისტი, რომელსაც მომიტინგეები და აქციის ორგანიზატორები, არც მეტი, არც ნაკლები, მოწინააღმდეგე მხარედ და პოტენციურ მტრად მიიჩნევდნენ! ემოციებს აყოლილი, ლამის ექსტაზში ჩავარდნილი მომიტინგეები, რომლებმაც უწმინდესს არ დაუჯერეს, ჯუმბერ პატიაშვილს რატომ ან როგორ დაუჯერებდნენ?!.

4:00 ოპერაცია დაიწყო...

როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, მხოლოდ ოპერაციის დასრულების შემდეგ ვიგებ, რომ აქციის დაშლაში ქართულ მილიციას მონაწილეობა არ მიუღია.

პირველადი ინფორმაციით მატყობინებენ, რომ ოპერაცია მსხვერპლით დამთავრდა. გარდაცვლილია სამი ადამიანი: ორი ქალი და ერთი მამაკაცი.

მაშინვე ვურეკავ გორგოძეს.

კითხვაზე – რატომ დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები? – შს მინისტრი არანაკლებ აღშფოთებული მპასუხობს:

– როდიონოვმა ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა და იმ მომენტში იარაღი რომ მქონოდა, აუცილებლად ვესროდი!..

ამის შემდეგ ჩემს კაბინეტში შემოდის გაფითრებული როდიონოვი და თითქმის ისტერიკაში ჩავარდნილი მეუბნება:

– როგორც შეთანხმებული ვიყავით და როგორც სქემით იყო, ოპერაცია ისე არ ჩატარდა, გორგოძემ ქართული მილიცია არ გამოიყვანა და შედეგად ჯარი და მომიტინგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ!

დასასრული. დასაწყისი იხ. № 71-72.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო და მსოფლიო რუკა

დავით უსუფაშვილმა დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა, „დაამუშაონ კრეატიული გადაწყვეტილებანი“ საქართველოს ატლანტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით

ნატოს მხრიდან დაცვის გარეშე საქართველო შეიძლება გაქრეს მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან? და ეს შეიძლება მოხდეს ძალიან მალე, განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. შესაბამისად, საქართველოს დასავლური ორიენტაცია არის არა არჩევანი, არამედ არსებობის საკითხი, ხაზგასმით მიუთითა საქართველოს სპიკერმა, როდესაც გამოდიოდა აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის სესიაზე ვილნიუსში ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა კონფერენციის ფარგლებში.

უსუფაშვილის თანახმად, თბილისში ესმით, რომ საქართველოს მისწრაფება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს და შესაბამისად, პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვებით, საქართველოს სჭირდება გარკვეული გარანტიები ნატოს მხრიდან.

„2008 წლის აპრილში ნატოს სამიტზე ალიანსის წევრი ქვეყნები მივიდნენ კონსენსუსამდე იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, მაგრამ არაფერი თქმულა არც მექანიზმის, არც ინსტრუმენტებისა და არც ვადების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი რუსული აგრესიისა 2008 წელს. დღეს ჩვენ კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ვართ. გვესმის, რომ, თუ საქართველო გადადგამს ნაბიჯს ნატოსკენ, ეს რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევს. ჩვენ ვეწევით რისკს და სწორედ ამიტომ გვჭირდება პასუხი: რა გაკეთდება, თუ საქართველო კიდევ ერთხელ გახდება სამიზნე რუსეთისთვის?“, — განაცხადა უსუფაშვილმა ვილნიუსში.

დავით უსუფაშვილმა მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს, „დაამუშაონ კრეატიული გადაწყვეტილებანი“ საქარველოს ატლანტიკურ პერსპექტივებთან დაკავშირებით ნატოს მომავალ სამიტზე, რომელიც სექტემბერში უელსში გაიმართება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ხედავს მზადყოფნას დასავლელი პარტნიორების მხრიდან ამასთან დაკავშირებით, რაც, მისი სიტყვებით, მისცემს მას რწმენას, რომ, ბოლოს და ბოლოს, „გამოსავალი მოიძებნება“.

„საქართველო დაუახლოვდება ევროპას, შევა ნატოში და რუსეთი გახდება დემოკრატიული ქვეყანა. სწორედ ეს არის პრობლემის ხანგრძლივი გადაწყვეტილება“, — განმარტა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს იმედი აქვს, მიიღოს მოქმედების გეგმა ნატოს შემდგომ სამიტზე. მაპი — ეს არის ალიანსში ახალი წევრების მიღების ოფიციალური პროგრამა. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკის ალიანსში შესვლისთვის. თუმცა, ამის გარანტიას არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ ყველა ასპირანტ ქვეყანას, საქართველოს გარდა, ესე იგი ბოსნიასა და ჰერცოგოვინას, ჩერნოგორიასა და მაკედონიას აქვთ მაპი.

ამასთან დაკავშირებით მღელვარება საქართველოში გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას კომენტარებმა მარტის ბოლოს იმასთან დაკავშირებით, რომ არც უკრაინა და არც საქართველო „არ დგანან ნატოში შესვლის გზაზე“. თუმცა, საქართველოს მთავრობამ, აგრეთვე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტ ობამას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ის, რომ ამ მომენტისთვის საქართველო ითხოვს მაპს, და არა წევრობას, მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვები ქართულ საზოგადოებრიობაში ამ განმარტებების შემდეგაც დარჩა.

„შეზღუდული პერსპექტივა“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მალხაზ მაცაბერიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს „აქვს შეზღუდული პერსპექტივა“, მიიღოს მაპი ნატოს სამიტზე უელსში. ამ ვარაუდისთვის საფუძვლად პოლიტოლოგმა დაასახელა დასავლეთის რეაქცია უკრაინის კრიზისზე და ყველა „ეგრეთ წოდებულ მოქმედებაზე“, რასაც, მისი სიტყვებით, რუსეთი ღებულობს პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოებთან დაკავშირებით, საქართველოს ჩათვლით.

„თუ საქართველოს სექტემბერში მისცემენ მაპს, ეს გამოიწვევს რუსეთში ნეგატიურ რეაქციას, ამის შესახებ არაერთგზის გვაფრთხილებდნენ რუსი ჩინოვნიკები. როგორც ჩანს, ეს დასტურდება თუნდაც ყირიმის ანექსიის მაგალითზე, დასავლეთის ქვეყნებს არ სურთ, გაიფუჭონ ურთიერთობანი რუსეთთან და ყველაფერს აკეთებენ, რათა შეარბილონ ყველა მწვავე კუთხე, რომლებიც ჩნდება მათ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით რუსეთის უკანონო მოქმედებების შედეგად“, — განუცხადა მაცაბერიძემ „ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურს.

უფრო მეტიც, მაცაბერიძეს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე თბილისი დაინტერესებულია არა იმდენად მაპით, არამედ უშიშროების გარანტიებით ნატოს მხრიდან. მისი აზრით, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში საქართველოს პარლამენტის სპიკერს თავის ვილნიუსის სიტყვაში. მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგს ეჭვი ეპარება იმაში, რომ დასავლეთი ამ ეტაპზე მისცემს საქართველოს ამგვარ გარანტიებს.

„პოლიტიკოსების ნაწილი დასავლეთში არ მიიჩნევს პრაგმატულად, ჩაერთონ კონფლიქტში რუსეთთან პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამო, და ეს პოზიცია მხოლოდ ახალისებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც ცდილობს, აღიდგინოს რუსეთის დაკარგული გავლენა, ახალი უკანონო მოქმედებების განხორციელებით“, — მიაჩნია მალხაზ მაცაბერიძეს.

„ერთადერთი საპირისპირო მოქმედება“

უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე ეთანხმება საქართველოს სპიკერის განცხადებას და მიიჩნევს, რომ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე საქართველო დიდი ხნის წინათ გაქრებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან. ექსპერტს მიაჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ამ მომენტისთვის რუსეთს უკვე ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი, და „ყველაზე უარესი სცენარის“ გათვალისწინებით, კრემლი იბრძოლებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისთვის და რომ ამ შემთხვევაში „ერთადერთ საპირისპირო მოქმედება“ — ეს არის დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა.

პოლიტოლოგმა „ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურისთვის გაკეთებულ კომენტარებში აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება საქართველოსთან დაახლოების მომავალ ნაბიჯებზე უნდა მიიღოს 28 სახელმწიფომ, რომლებიც ნატოს შემადგენლობაში შედიან. მისი სიტყვებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, აგრეთვე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა „უნდა დაარწმუნონ“ სახელმწიფოები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთისკენ, იმაში, რომ ახალი წევრების მიღება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აუცილებელია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, ექსპერტს იმედი აქვს, რომ უელსში შემდეგ სამიტზე ნატო შესთავაზებს საქართველოს დაახლოების გარკვეულ მექანიზმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბობს ჩიტაძე, ეჭვქვეშ აღმოჩნდება ღირებულებათა სისტემა და ის საკვანძო პრინციპებიც, რითაც ხელმძღვანელობენ დასავლური ინსტიტუტები. ეს, თავის მხრივ, დაასუსტებს მათ პოზიციას და ხელს შეუწყობს მსოფლიოში დამატებით არასტაბილურობას.

Voice of America

◎ ალიან-ჩალიანი

აფხაზეთმა ხურჩაში საჰაერო სივრცე დაარღვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გოჩა რატიანი ოკუპირებული აფხაზეთიდან ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე „ან 2“ ტიპის თვითმფრინავის შემოფრენას ადასტურებს და აცხადებს, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისია აღნიშნული საკითხის შესწავლაში უკვე ჩართულია.

ჩვენ ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან ერთად, ცხელი ხაზი ამუშავებული გვაქვს და ვარკვევთ, თუ რატომ მოხდა საჰაერო საზღვრის დარღვევა. ვნახოთ, რა პასუხს მივიღებთ. შევამოწმებთ ინფორმაციას, ჩამოვყალიბდებით და დავაფიქსირებთ ჩვენს პროტესტს როგორც საერთაშორისო, ისე ყველა დონეზე, — განაცხადა გოჩა რატიანმა. ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გუშინ რუსული თვითმფრინავი შემოფრინდა, რომელიც 10 წუთის შემდეგ უკან გაფრინდა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მათ სავარაუდოდ ხურჩის ტერიტორიის სურათები გადაიღეს. აღნიშნული ფაქტი სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის ხურჩის მოსახლეობასთან შეხვედრის წინ მოხდა.

სამხედრო წვრთნები აფხაზეთში

ოკუპირებულ აფხაზეთში მორიგი წვრთნები მიმდინარეობს. სააგენტო „აპსნიპრესის“ ინფორმაციით, ტაქტიკურ-სპეციალური სწავლება , რუსეთის სამხედრო ბაზის სამედიცინო განყოფილების მონაწილეობით, აფხაზეთის მთიან ნაწილში მიმდინარეობს. მასში 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და 30 ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს. სწავლება სამხედრო ექიმების მიერ საომარი მოქმედებების არეალში 100-კილომეტრიანი მარშის განხორციელებას ითვალისწინებს. ამასთან, თანამედროვე სამხედრო ბრძოლის გარემოების შექმნის მიზნით, სწავლებაში პირველად მოტომსროლელი ბრიგადაცაა ჩართული.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

რუსეთის მხრიდან საფრთხის მოლოდინში ნატო ემზადება გააძლიეროს კონტინგენტი აღმოსავლეთ ევროპაში

ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების სარდალი არ გამორიცხავს კონტინგენტის გაძლიერებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ეშინიათ 40 ათასი რუსი ჯარისკაცისა. ამას გარდა, რუსეთის საზღვრებისკენ შეიძლება გადაისროლონ ამერიკული ჯარებიც. მოსკოვში ნატოს ბრალს სდებენ ცივი ომის დროის რიტორიკაში და მცდელობაში, დაიკვემდებაროს გაეროს უშიშროების საბჭო.

* * *

გერმანია გვპირდება, მხარი დაუჭიროს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების მესამე პაკეტს, თუ დაიწყება უკრაინის აღმოსავლეთი ოლქების გამოყოფა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მხარს დაუჭერს სანქციებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების საზიანოდაც კი, განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა. ამავე დროს მან წინასწარვე მოითხოვა, რომ გაუგონ ბიზნესის წარმომადგენლებმა. ზომების მიუღებლობა კიდევ მეტ ზარალს მოგვიტანს, მიაჩნია მინისტრს. ამავე დროს იგი მხარს უჭერს სიტუაციის მშვიდობიან მოწესრიგებას მოლაპარაკებათა გზით.

* * *

ისრაელმა წარმატებით გაუშვა ჯაშუშური თანამგზავრი ირანისთვის თვალმურის სადევნებლად

„ოფეკ-10“ დედამიწის მახლობელ დაბალ ორბიტაზე გაიყვანა რაკეტმზიდმა „შავიტმა“. ახლა ირანის მხედველობის გარეშე ყოფნა მნიშვნელოვნად შემცირდა. ახალ „ოფეკს“ შეუძლია, გადმოგვცეს ხარისხიანი სურათები დღისითაც და ღამითაც ნებისმიერ ამინდში.

* * *

აშშ-ში ავტომობილმა საბავშვო ბაღის კედელი გაანგრია: 1 ბავშვი დაიღუპა, 15 დაიჭრა

გამოძიების მონაცემებით, ავტომობილი აცდა გზას და დაეჯახა შენობას იმის გამო, რომ მას სხვა მანქანა დაეჯახა, რომელიც მალე გაქრა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილიდან. პოლიციამ მონახა ავტომობილი, მაგრამ მასში მძღოლი არ იყო. დამრღვევს ეძებენ. სამკურნალოდ მიყვანილი ბავშვებიდან ერთი კრიტიკულ მდგომარეობაშია, კიდევ ხუთი — მძიმედაა.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE

პროექტის № P130413

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ნატახტარი–რუისის მონაკვეთზე გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების, პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP) მომზადება.

კონტრაქტი/RFP №EWHIP-4/CS/CQS-01

საიდენტიფიკაციო №EWHIP-4/CS/CQS-01

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების („მომსახურება“) გასაწევად **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ნატახტარი-რუისის მონაკვეთზე გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP) მომზადება.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების –„მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში)“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ **მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვეკონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო.** წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას № 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი. წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვების საფუძველზე, შედგენილი იქნება მოკლე სია და ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონსულტანტს ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენა.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს გზების პროექტირების გამოცდილება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების და გარემოს და სოციალური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს 2014 წლის 24 აპრილის 12:00 საათისა.

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის უფროსი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08, დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Forth East-West Highway Improvement Project

Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE

Project No. P130413

Assignment Title: Preparation of Feasibility Study, Design, and Bidding Documents and Environmental Management Plan (EMP) for environmental improvement measures on Natakhtari-Ruisi Section of the E-60 Highway
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-01
Reference No. EWHIP-4/CS/CQS-01

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of Feasibility Study, Design, and Bidding Documents and Environmental Management Plan (EMP) for environmental improvement measures on Natakhtari-Ruisi Section of the E-60 Highway".**

Estimated duration of assignment is 4 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Consultant must have experience in designing of roads projects, including preparation of Bidding Documents, as well as in conducting environmental and social data collection and analysis.

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 24, 2014, 12:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ ალიან-ჩალიანი

ტუბერკულოზის მკურნალობის ახალი ცენტრი

თბილისში, ხუდადოვზე ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი ცენტრი გაიხსნება. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, ეს არის ტუბერკულოზის მკურნალობის ახალი ცენტრი, რომელიც 17-საწოლიანია და რამდენიმე დღეში შევა ექსპლუატაციაში.

ამ პროექტმა თვეში, გარდა არსებული 22 მილიონი ლარისა, მოითხოვა დამატებით 50 ათასი. ეს თანხა ხმარდება ახალი შენობის ფუნქციონირებას, კომუნალურ და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

– შენობა უკვე მზად არის და ტესტირებას გადის სავენტილაციო, წყალმომარაგების სისტემები, – განაცხადა სერგეენკომ.

ინტერპრესი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სს ცენტროლიტის 2013 წლის წლიური ანგარიშის კორექტირებასთან დაკავშირებით სს ცენტრალიტის აქციონერთა საერთო კრება ნაცვლად 2014 წლის 17 აპრილისა, გაიმართება 2014 წლის 16 მაისს.

მისამართი: ანდრონიკაშვილის №29, დღის 10 საათზე.

დირექცია

◎ ფორუმის შემდეგ

ლუკა კურტანიძე: ფიზმომზადების პრობლემის გადაჭრაში გერმანელები დაგვეხმარებიან

საძართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ შეაფასა. ვაკის ფალავანთა კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს კურტანიძის გარდა ევროპირველობის მედალოსნები და ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრებიც შეხვდნენ, ოღონდ მთავარი მწვრთნელების გარეშე.

შეგახსენებთ, ჩემპიონატი გასულ კვირას ფინეთის ქალაქ ვანტაასში მოეწყო და 16 ქართველი სპორტსმენიდან პოდიუმზე მხოლოდ 3 ავიდა. 2 მედალი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზე მოდის: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57 კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო კონსტანტინე ხაბალაშვილი (65 კგ) ბრინჯაოს დაეუფლა. ასევე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ცირეკიძემ (80 კგ).

ფედერაციის პრეზიდენტმა დამსწრეთ ხინჩეგაშვილის ტიტული მიულოცა და იქვე ბრინჯაოს პრიზიორების წარმატებაც აღნიშნა. საერთო შეფასებისას კი განაცხადა, ფინეთში გამართულმა ევროპირველობამ გამოაჩინა, რომ საქართველოს ნაკრებებს გაცილებით დიდი პოტენციალი აქვთო.

„დარწმუნებული ვარ, ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი მოჭიდავეები საქართველოს ღირსეულად წარმოაჩენენ. ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი რომ მაქსიმუმი არაა, მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება. უდიდესი რეზერვი არსებობს და მის გამოსაყენებლად თავს არ დავზოგავთ“, — თქვა კურტანიძემ.

ფედერაციის პრეზიდენტს ქართველი მოჭიდავეების სუსტ ფიზიკურ მომზადებაზეც ვკითხეთ, რაზეც განაცხადა, რომ ფიზმომზადების პრობლემა მართლაც თვალშისაცემია და ამ ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა საქმეში სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობა.

„სპორტსმენების ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე გერმანელი სპეციალისტები იზრუნებენ. აქამდეც მითქვამს, რომ მათთან ჩვენი ფედერაცია ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა. შეთანხმება უკვე მიღწეულია. გერმანელები თბილისში ივნისში ჩამოვლენ და ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ“, — დასძინა ლუკა კურტანიძემ.

მანვე აღნიშნა, რომ წლეულს შარშანდელ ევროპირველობასთან შედარებით მეტ მედალს გეგმავდა, მაგრამ ისევ და ისევ ფიზმომზადებისა და კიდევ რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორის გამო მხოლოდ სამმა ქართველმა შეძლო პოდიუმზე ასვლა.

დავით მოძმანაშვილის (130 კგ) შემთხვევაში კურტანიძემ საპრიზო სამეულს მიღმა დარჩენის უმთავრეს მიზეზად სპორტსმენის არასაკმარისი თავდაჯერებულობა დაასახელა — „ყველამ, ვინც კი დათოს ჭიდაობას უყურა, მითხრა, რომ იგი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ თავის უპირატესობას ვერ იყენებს, რადგან საკუთარი ძალის რწმენა აკლია“.

რაც შეეხება დავით მარსაგიშვილის (86 კგ) წარუმატებლობას, ფედერაციის პრეზიდენტი სპორტსმენის ტრავმიანობას ასახელებს, რომელმაც მოსამზადებელი ეტაპის დიდი ნაწილი გააცდენინა, თუმცა, იქვე დაამატა, რომ მარსაგიშვილისგან მაინც მეტს ელოდა.

„ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მოპოვება. მას შემდეგ, რაც ოქროს მედლის შანსი დაკარგა, დათოს ბრინჯაოსთვის განწყობა გაუჭირდა. ვფიქრობ, ეს ჩემპიონატი მისთვის მწარე გაკვეთილი იქნება. დადგა დრო, როდესაც ამ ბიჭმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. ამისთვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი კიდევ უფრო მეტი კითხვის ნიშანი გაჩნდება“, — განაცხადა ლეგენდარულმა სპორტსმენმა.

ლუკა კურტანიძემ ყურადღება ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ სამომავლოდ ამ საკითხსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

ფედერაციის პრეზიდენტმა ევროპირველობის მედალოსნებთან ერთად ფინეთში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ ცხადაიას (71 კგ) გამოსვლაც გამოარჩია, მისი რუს ლაბაზანოვთან მარცხის მიზეზად კი მსაჯების უნებლიე შეცდომა დაასახელა.

კობა კობახიძე

◎ მეტოქე

ადამ ჰანგა: საქართველო და ჩეხეთი უდავო ფავორიტები არიან

ესპანური „ლაბორალ კუტხას“ ფორვარდი ადამ ჰანგა (200 სმ.) უნგრეთის ნაკრების უმთავრეს ვარსკვლავად ითვლება, ეს გუნდი კი, როგორც მოგეხსენებათ, 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ქართველ კალათბურთელთა ერთ-ერთი მეტოქე იქნება.

ჰანგასთან ვრცელი ინტერვიუ ფიბა-ევროპას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ქართველი ქომაგისთვის კი საინტერესო ის ნაწილი იქნება, სადაც უნგრელი მომავალი ევრობასკეტის საკვალიფიკაციო რაუნდზე საუბრობს.

„ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დავეხმარე, თუმცა, ძნელი სათქმელია, ჩემი გუნდში ყოფნის შემთხვევაში რამე შეიცვლებოდა თუ არა.

მუხლში ტკივილს ახლაც ვგრძნობ, მაგრამ მოედანზე გავდივარ და იმედია, სეზონის დასრულების შემდეგაც მწყობრში ვიქნები. ეროვნული გუნდის მაისურით თამაში ძალიან მსიამოვნებს და მინდა, სამშობლოს დახმარება გავუწიო.

ხშირად გაიგონებთ, რომ იოლი შესარჩევი ჯგუფი შეგვხვდა, თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ. ჩეხეთს, საქართველოს და პორტუგალიას უნდა ვეთამაშოთ, რაც ძალიან ძნელი იქნება.

თუკი სახელების მხრივ ავიღებთ, საქართველო და ჩეხეთი უდავო ფავორიტები არიან, თუმცა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როდესაც შინ ვთამაშობთ, ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია.

გასულ წლებში შესაძლებლობებზე სუსტად ვითამაშეთ და მცირედით ილბალიც არ გვწყალობდა. ახლა რამდენიმე ახალგაზრდა კალათბურთელი შეგვემატა და თუკი თავისი სიტყვა ვეტერანებმაც თქვეს, იქნებ, მიზანს მივაღწიოთ“.

ცნობისთვის, ჰანგას მიერ აღნიშნულ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრელებმა გასული წლის აგვისტოში ითამაშეს.

მაშინ უნგრეთის ნაკრებმა ბელარუსთან ორჯერ წააგო (სტუმრად — 75:79, შინ — 61:63), სლოვაკეთთან გასვლითი შეხვედრა 67:79 დათმო, ერთადერთი გამარჯვება კი იმავე სლოვაკეთთან შინ იზეიმა — 75:43.

როგორც აღინიშნა, 2015 წლის მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდში უნგრეთის და საქართველოს გარდა E ჯგუფში ჩეხეთი და პორტუგალიაც ითამაშებენ. 13 აგვისტოს უნგრეთი საქართველოს შინ მიიღებს, განმეორებითი მატჩი კი 24 აგვისტოს თბილისში შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ლიდერის ფაქტორი

მართლაც რომ მძიმეა ვარასკვლავთა ხვედრი.

აგერ, ცინცხალი მაგალითები: ტრავმირებული იბრაჰიმოვიჩის არყოფნა საბედისწერო აღმოჩნდა „პარი სენ-ჟერმენისთვის“, ასევე დაშავებული რონალდუ კი სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ გადარჩნენ მისი პარტნიორები შერცხვენას დორტმუნდში. დიახ, „სამეფო კლუბის“ ქომაგებმა ძეგლი უნდა დაუდგან მასპინძელთა სომეხ ნახევარმცველ მხითარიანს, რომელმაც ბურთი მეტოქის ცარიელი კარის ძელს მოარტყა.

თუმცა, არის საპირისპირო ხასიათის ფაქტორიც. დიეგო სიმეონეს აწყობილ „ატლეტიკოს“ ანსამბლს, მართალია, კუნთდაჭიმული გუნდის ლიდერი კოშტა აკლდა, მაგრამ მაინც დაჯაბნა მრისხანე „ბარსელონა“, რომლის დაცვის ცენტრიც ლაზარეთის ბინადარ პიკეს არყოფნაში „პრახადნოი დვორს“ ჰგავდა. საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ კატალონიელები სამჯერ ძელმა იხსნა.

საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების სრული შედეგები:

„ბორუსია“ — „რეალი“ 2:0 (0:3),

„ჩელსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0 (1:3),

„ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ 1:0 (1:1),

„ბაიერნი“ — „მანჩესტერი“ 3:0 (1:1).

დღეს ნახევარფინალისტთა კენჭისყრის პირდაპირი ტელერეპორტაჟს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ 14 საათიდან შემოგვთავაზებს.

გიორგი შოთაძე

◎ კრახი

ჰოკეისტებმა ბულგარეთთანაც წააგეს

ლუძსემბურგის ქალაქ კოკელშოიერში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში III დივიზიონის ქვეყნებს შორის. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ტურნირზე მე-3 მატჩი ჩაატარა და კვლავ დიდი ანგარიშით დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჰოკეისტებმა ჩრდილოეთ კორეასთან 1:22 წააგეს, შემდეგ ჰონგ-კონგთან 0:12 დამარცხდნენ, გუშინ კი ბულგარეთის გუნდთანაც ვერაფერი გააწყვეს — 1:19. გოლი გიორგი გობეჯიშვილის ანგარიშზეა.

ამ დროისთვის, III დივიზიონს ჩრდილოეთ კორეის და ბულგარეთის ნაკრებები ლიდერობენ, რომელთა აქტივშიც 3-3 მოგებაა.

დღეს ქართველები ლუქსემბურგს ეთამაშებიან, ხვალ ფინიშზე კი ძალებს არაბეთის გაერთიანებული საამიროების გუნდთან მოსინჯავენ, რომელსაც ასევე სამივე მატჩი წაგებული აქვს, ოღონდ, ერთი — ოვერტაიმში.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

მარტინ შკრტელის პოპულარული ცოლი

ბრიტანეთში მოთამაშე სლოვაკი ფეხბურთელის მარტინ შკრტელის ცოლმა სლოვენიელმა მოდელმა ბარბარა ლოვასოვამ ძალიან სწრაფად მოახერხა მთელს ევროპაში პოპულარობის მოპოვება და დღეს მისი ფოტოებით არაერთი ბულვარული გამოცემაა დაინტერესებული.

ბარბარა ერთობ ფერხორციანი ქალია და ჭეშმარიტად ამსხვრევს თანამედროვე მოდის ინდუსტრიაში დამკვიდრებულ ცრუ და უსამართლო მითებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალის სილამაზე თითქოს სიგამხდრეზე გადის.

ბარბარა ლოვასოვა თურმე ყველაფერთან ერთად, აერობიკითაც ყოფილა გატაცებული და ყოველ დილით ქმართან თუ ქმრის გარეშე სხეულის გაკაჟებით კავდება. მარტინსა და ბარბარას ერთი შვილი ჰყავთ და სლოვაკ ფეხბურთელს სურს, რომ როდესაც ფეხბურთიდან წავა, მრავალშვილიანი მამა იყოს. მონდომების ამბავია...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ერიჰა!

დაუდევრობით პოეტს გული ატკინეს

შემომხვდა დილარ ივარდავა — ცნობილი პოეტი, რაღაც, ვერ არის ხასიათზე. რა მოგივიდა-მეთქი.

— არაფერი, ქვეყანა არ დაქცულა, მაგრამ, მე კიდე გულის ტკენა მინდოდა?.. თუ ნამეტანი არ ჩქარობ, ხუთ წუთში გეტყვი, რაც მოხდა.

— კი, ბატონო...

— მოწაფეობის წლებიდან ვწერდი და ვაქვეყნებდი ლექსებს. ჩემი საყვარელი გაზეთები იყო „მებრძოლი“ (რაიონული) და „ნორჩი ლენინელი“. შიგადაშიგ ჟურნალი „პიონერიც“ მწყალობდა. ისინი სისტემატურად უთმობდნენ თავიანთ ფურცლებს მოსწავლეთა შემოქმედების ნიმუშებს; ასე, მაგალითად, **1956 წლის მარტის ნომრის „პიონერში“ დაიბეჭდა დედისადმი მიძღვნილი ჩემი სამსტროფიანი ლექსი, რომლის არსებობაც დროთა ვითარებაში კიდეც დამავიწყდა.**

და აი, საოცრება: საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული ჩემი შვილთაშვილი ნაცნობ სტრიქონებს ახმიანებს. დედისადმი მიძღვნილ ბავშვთა ზეიმის მონაწილე პაწია ნუციკოსთვის მასწავლებელს დაუვალებია ლექსი დაესწავლა და წარმოეთქვა 8 მარტისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ნუციკო დაბეჯითებით იმეორებს ჩემი ლექსის სტრიქონებს...

— ბაბუკა გენაცვალოს, ვინ მოგცა ეგ ლექსი? — ვკითხე შვილიშვილს.

— მასწავლებელმა, — მიპასუხა და გამომიწოდა კარგა მოზრდილი წიგნი, რომელიც ქრესტომათიად მოუნათლავთ და, სადაც ჩემი ბავშვობისდროინდელი ლექსია დაბეჭდილი, მხოლოდ ავტორად მოხსენიებულია შესანიშნავი საბავშვო პოეტი, აწ გარდაცვლილი **გიორგი წერეთელი.** ლექსი თავიდან ბოლომდე გადავიკითხე და ჩემთვის ჩავილაპარაკე: — ეს ხომ ჩემი... და არ გამიგრძელებია, ბავშვს ვერ გავაგებინებდი იმას, რაც მართალი გითხრათ, მეც ვერ ამიხსნია: „საიდან სადაო?“. დარწმუნებული ვარ, ეს სრული გაუგებრობაა, თორემ... შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ რაიმე პლაგიატობას ჰქონდეს ადგილი...

— კი, მაგრამ, ვინ გამოსცა ეს „ქრესტომათია?“ (დილარი „ქრესტომათიასაც“ მიჩვენებს და 1956 წლის ჟურნალ „პიონერსაც“).

— გამომცემლობა „თანმა“ 2002 წელს...

საინტერესოა, რას გვიპასუხებენ „ქრესტომათიის“ შემდგენელი **გ. მგალობლიშვილი** (სახელი გაშლილად არ წერია), რანაირად მოხვდა ეს ლექსი წიგნში ამ „ხარვეზით“ (ლექსის შუა კუპლეტი ამოღებულია, დანარჩენი კი, უცვლელად, ავტორისეული, ანუ ჩემეულია), **წიგნი საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის გრიფით „იწონებს“ თავს, რედაქტორისა და სამი დოცენტი რეცენზენტის ხელდასხმულია, დამტკიცებულია განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის მეთოდური საბჭოს მიერ და, როგორც გითხარით, დაბეჭდილია 2002 წელს გამომცემლობა „თანში“...** აი, ეს არის ჩემო ძმაო, გულგრილობა, მეტი კი არაფერი...

— ვნახოთ ერთი, დავბეჭდოთ, აბა თუ ექნებათ რეაქცია!..

— ეჭვი მეპარება...

ვილენ მარდალეიშვილი

დედა ნელი ბენაშვილი, და თათია, დისწულები ბაკურ, ბუბა, ელენე მოლაშვილები, ბიძა გურამ ბენაშვილი, ბიცოლა ია ფოფხაძე, სიძე სულხან მოლაშვილი, ბიძაშვილები დიმიტრი, გიორგი ბენაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივი მაუწყებლობის თანამშრომელი

ტატა (ლელა) ბაკურის ასული ბახტურიძე

პანაშვიდი 10, 11 IV, 17 სთ. გამოსვენება 12 IV, 14 სთ. მისამართი: გოგებაშვილის ქ. №43.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ჟურნალისტები დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით ვიუწყებით, რომ ჩვენს ყოფილ თანამშრომელს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ქართული საქმისთვის გამორჩეულად თავდადებულ და მუდამ კალამშემართულ ბაკურ ბახტურიძეს მოულოდნელად გარდაეცვალა უფროსი ქალიშვილი, ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასი

ტატა (ლელა) ბახტურიძე

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, დედას ნელი ბენაშვილს, დას თათიას, დის მეუღლეს სულხან მოლაშვილს, დედის ძმას გურამ ბენაშვილს თავის ოჯახთან ერთად.

სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება სამძიმარს უცხადებს თავის უხუცესთა საბჭოს წევრს თამაზ ჯალაღანიას ძმის გარდაცვალების გამო.

სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დარბაზის თავმჯდომარე ფრიდონ ინჯია; უხუცესთა საბჭოს წევრები: ოთარ გოგიტიძე, მინდია სალუქვაძე, ომარ მხეიძე, ბორის ბოჭორიშვილი, გულაბერ ანანიაშვილი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე; ჩოხოსნები: რეზო სულავა, თემურ თავაძე, ნიკო ასათიანი, თეიმურაზ ღოღობერიძე, რომანოზ რეხვიაშვილი, თეიმურაზ ბერიშვილი, იაგო შიოლაშვილი.

◎ პროფესიული განათლება

ფესტივალი — 2014

Tbilisi Event Hall-ში 8 აპრილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით, ფესტივალი — „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ წელს მეორედ გაიმართა.

ფესტივალის გახსნაში მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, რომელმაც სურვილი გამოთქვა, რომ ეს ფესტივალი ტრადიციული გახდეს. მისი აზრით, პროფესიული განათლება მნიშვნელოვანია, რათა ადამიანი გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და გამოადგეს ქვეყანას. ხოლო „ლიბერთი ბანკის“ დირექტორმა დავით ვერუაშვილმა პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები, თანამშრომლობის პერსპექტივაში განიხილა.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო საქართველოს მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები, სტენდები, რომლებიც გაფორმებული იყო ამა თუ იმ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტთა მიერ.

ფესტივალზე მოსულ სტუმრებს შეეძლოთ გაცნობოდნენ სწავლების მეთოდოლოგიას, დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები დაწესებულებათა წარმომადგენლებისათვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრის მსურველებს, რომლებიც Tbilisi Event Hall-ში გამართულ ფესტივალს ესწრებოდნენ, შეეძლოთ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია მათ მიერ შერჩეული პროფესიული პროგრამების შესახებ, ენახათ ტესტირების ტიპები და ადგილზე დარეგისტრირებულიყვნენ სასურველ პროფესიულ პროგრამებზე.

ფესტივალში მონაწილეობას თითქმის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იღებდა და ასევე ის უნივერსიტეტები, რომლებსაც აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: კოლეჯი „ოპიზარი“, „საია“, „იკაროსი“, „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ. ჩვენ გავეს აუბრეთ სასწავლებლების წარმომადგენლებს და მოვისმინეთ მათი შეფასებები.

ნინო ბაღურაძე — პროფესიული კოლეჯის „ფაზისის“ დირექტორი: „ჩვენი სასწავლებელი 1956 წლიდან ფუნქციონირებს ქალაქ ფოთში. მისი რეაბილიტაცია მოხდა 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. გამოფენაზე წარმოდგენილი გვაქვს დურგლების, შემდუღებლების მიერ შექმნილი პროდუქცია. ასევე მონაწილეობას ვიღებთ კონკურსში სტილისტისა და სამკერვალო ნაწარმის მიმართულებით.

ჩემი აზრით, ფესტივალი ხელს უწყობს ამა თუ იმ პროფესიული სასწავლებლის პოპულარიზაციას.

ქუთაისის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორი თინათინ ლოსაბერიძე: „ჩვენ ვასწავლით 27 პროფესიულ პროგრამას. ამჟამად ჩვენთან 642 სტუდენტი სწავლობს. სწავლის ხანგრძლივობა პროფესიების შესაბამისად სხვადასხვაა. ყველაზე ხანგრძლივი სასწავლო პროცესი გასტანს წელიწად ნახევარს, ხოლო ყველა მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა არის ექვსთვიანი.

დღეს შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოვაჩინოთ ჩვენი სასწავლებელი, რათა მომავალში სულ უფრო მეტმა კურსდამთავრებულმა საკუთარი პროფესიით მოახდინოს თვითრეალიზაცია.

კიდევ ერთი პროფესიული სასწავლებლის „სპექტრის“ დირექტორმა **მათე ტაკიძემ** აღნიშნა,რომ სწავლებელს გარდა იმისა, რომ აქვს 30 სასწავლო პროგრამა, მათთან დანერგილია ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამაც.

„სპექტრს“ სტაჟირების პროგრამები აქვს სხვადასხვა დამსაქმებელ კომპანიაებთან. ესენია: „ჰაიდელბერგ ცემენტი“, „კაპაროლა“ და სხვ. სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შორის 70% დასაქმებულია.

როგორც პროფესიული განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **ნიკოლოზ მესხიშვილმა** განაცხადა, 21 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობს პროფესიული განათლების მიმღებთა რეგისტრაციის პროცესი.

პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსახვედრად საჭიროა ტესტირების გავლა ზოგად უნარებში და კომპეტენციის მინიმალური ზღვრის გადალახვა.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტები ისწავლიან სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსებით უფასოდ.

რუსუდან კილასონია
ავტორის ფოტო.

გახსენება

გურამ შარაბიძე

ოთხი წლის წინათ 11 აპრილს კვირაცხოვლობის დღეს, ნაძალადევის ერთ-ერთ უბანში ხმა დაირხა, გურამი გარდაიცვალაო... შეძრწუნდა უბანი, დამწუხრდა ოჯახი — მეუღლე ირმა, შვილები რუსუდანი და ნონა, და მანანა შარაბიძე, სანათესაო, სამეგობრო, სამეზობლო, თანამშრომლები. ასე მოულოდნელად ორი-სამი კვირის ავადმყოფობით არავინ მოელოდა მის წასვლას. ის ოჯახს აიმედებდა, ადრეა, არ მინდა წასვლა, თქვენთან მინდაო, უჩემოდ როგორ იქნებითო... და სევდიანი თვალებით გამოგვეცალა ხელიდან, უშფოთველად დანებდა უფლის ნებას.

გურამ შარაბიძე ახალგაზრდობიდანვე ნახალოვკის „ყოჩი“ იყო, ბირჟის მფლობელი, თავკაცი, კარგი მოსაუბრე და მომსმენი, ძალა მოსდევდა, გული ერჩოდა, მაგარი დამრტყმელი იყო, არავის დაჩაგრავდა, თავსაც არავის დააჩაგვრინებდა, ადამიანებთან ურთიერთობა არ უჭირდა, იყო კონტაქტური, გულღია და უღალატო, არავის მოშურნე, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, გულკეთილი და მიმტევებელი, სახელიანი ვაჟკაცი. განსაკუთრებული იუმორით გამოირჩეოდა. იყო მოქეიფე და კარგი მომღერალი. ამავე დროს, მაგარი მონადირე, მაგრამ სახლში ქათამს არ დაკლავდა, უყვარდა ცხოველები.

ახალგაზრდობაში სწავლობდა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, პარალელურად მუშაობდა ზოოპარკში. მას ყველა იცნობდა, როგორც უშიშარ გულად ბიჭს. ის თავისუფლად შედიოდა მხეცების გალიაში, ეფერებოდა ნებისმიერ მხეცს... გაოცებული დარჩა შემთხვევით ზოოპარკში მისული კორესპონდენტი, როდესაც შეესწრო მას გალიაში უშველებელი ქვეწარმავლით ხელში... შემდგომში იმდროინდელ გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული იყო სტატია უშიშარი ბიჭის სახელით, სურათებით, რაც შემონახული აქვს დღესაც მის ოჯახს.

გურამი იყო კარგი ქართველი, თბილისელი რაჭველი, იგი პატივს სცემდა თავის წარმომავლობას, უყვარდა რაჭა და რაჭველები.

გური, ძნელია უშენოდ ცხოვრება, თუმცა, შენ ჩვენში ჩასახლებული ხარ. შენი მზრუნველობა და სითბო შენს ოჯახში გრძელდება. შენ დატოვე არაჩვეულებრივი მოგონებები. წახვედი ვაჟკაცურად ზეციურ საქართველოში, სადაც შეხვდები უამრავ უახლოეს ადამიანს. წახვედი სევდიანი სიცოცხლის სურვილით, ოჯახის ჯავრით. ვერ ვეგუებით უშენობას, აკლიხარ ყველას, მაგრამ რას ვიზამთ, ასე უნდოდა უფალს და ჩვენ შევთხოვთ მას... ნათელში ამყოფოს შენი სული და გინთებთ სანთლებს...

მონატრებით ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო, შაბანი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

◎ ტესტი

ორნი ერთ ჭერქვეშ?

შეყვარებულებს ხშირად ესმით შეგონებანი: „ეს სანამ ხვდებით ერთმანეთს, აი, იცხოვრებთ ერთად და...“ „სულელური ჩვევებია“, მოვალეობათა განაწილება თუ „რჩევები და სიყვარული“? რამდენად ხართ მზად ერთობლივი ცხოვრებისთვის?

1. თქვენი აზრით, სინაზე...

ა) სასიამოვნოა.

ბ)ცხოვრებისთვის აუცილებელია.

გ)სულს გიხუთავს.

2. როდესაც სამუშაოდან ბრუნდებით, დაღლილი, უმალვე...

ა) მიისწრაფით საყვარელი ადამიანისკენ.

ბ) იცვამთ უფრო მოხერხებულ ტანსაცმელს და აცხელებთ ვახშამს.

გ) იცმევთ პიჟამას და წვებით დასასვენებლად.

3. დივანზე წევხართ და კითხულობთ წიგნს. მოდის ის და რთავს ტელევიზორს. თქვენ...

ა) „ხომ ხედავ, ვკითხულობ“.

ბ) სთავაზობთ ერთად შეარჩიოთ გადაცემა (ფილმი) სანახავად.

გ) იწევით გვერდზე, უთმობთ ადგილს, რომ მშვიდად უყუროს.

4. თქვენი პარტნიორი დუმს და უკანასკნელ ხანებში რაღაცითაა შეწუხებული. თქვენ...

ა) ფრთხილად ცდილობთ, აალაპარაკოთ ის.

ბ) ბრაზობთ, მიგაჩნიათ, რომ ის არ გენდობათ.

გ) მშვიდად აღიქვამთ მისი განწყობილების ცვლილებას.

5. როდესაც ადრე გაიღვიძეთ, ნახეთ, რომ ყავა მხოლოდ ერთი ფინჯანილა დარჩა...

ა) „თუ რძით დავლევთ, ორივეს გვეყოფა“.

ბ) „რა ჩემი ბრალია, თუ უყვარს ძილი“.

გ) სვამთ ჩაის: მას ყავის გარეშე თავი ვერ წარმოუდგენია.

6. შვებულებაში აპირებთ წასვლას, მაგრამ მოულოდნელად თქვენი მეუღლე სამსახურში დასჭირდათ.

ა) რჩებით სახლში.

ბ) მიდიხართ მარტო.

გ) ურეკავთ ვინმე ახლობელს, რომ კამპანია შეგიქმნათ.

7. სააბაზანო ოთახი:

ა) ყველა შედის აბაზანაში თავისი რიგით, თუ არავის ეჩქარება.

ბ) თქვენ იშვიათად ხვდებით ერთმანეთს, რათა არ წაილაყბოთ დილის მარათონის დროს.

გ) იკეტებით: არ არის სავალდებულო, ვუყუროთ ერთმანეთს კბილების წმენდის დროს.

8. თუ ამჩნევთ საკუთარ „სულელურ“ ჩვევებს?

ა) „ამას რას მეუბნებით?“

ბ) „იმაზე ვმუშაობ,რომ გავთავისუფლდე მათგან“.

გ) „გავთავისუფლდები მათგან, როდესაც ისიც გათავისუფლდება თავისი ჩვევებისგან.

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8
ა	2	1	3	2	2	1	2	1
ბ	1	2	2	1	3	3	1	2
გ	3	3	1	3	1	2	3	3

8-12 ქულა. ერთად ცხოვრება — ეს რომანტულია. თქვენ გიხარიათ, რომ გაქვთ სიყვარულის სითბო, თქვენ ყურადღებიანი ხართ თქვენი პარტნიორის მიმართ. არის ერთი მაგრამ: თქვენ შეგიძლიათ, უარი თქვათ თქვენს სურვილებზე მისი სიამოვნებისთვის და ამით ეწევით რისკს, დაკარგოთ საკუთარი თავი.

13-19 ქულა. იცხოვრო ერთად — ესაა, აწარმოო დიალოგიც. თქვენ პატივს სცემთ თქვენი პარტნიორის აზრს და შეძელით, მოგენახათ ის ვარიანტი, რომელიც სწორედ თქვენს წყვილს შეესაბამება: ყოფაში, სიახლოვეში, თავისუფლების ხარისხში. გილოცავთ!

20-24 ქულა. ერთად ცხოვრება — ეს გამოცდაა. თქვენ ვერ იტანთ, როდესაც ვინმე არღვევს თქვენ სივრცეს, და არ აპირებთ თქვენი ჩვევების შეცვლას თქვენი პარტნიორის გულისთვის. კანონზომიერი შეკითხვა: საერთოდ რა გაკავშირებთ ერთმანეთთან? იფიქრეთ და, თუ პატივს სცემთ თქვენს მეორე ნახევარს, დაუჯერეთ ხოლმე მას. მაშინ, შეიძლება, თქვენც მოგისმინონ.

◎ რამპა

შესრულდება ბრამსის სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 13 აპრილს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს.

შესრულდება იოჰანეს ბრამსის მესამე სიმფონია და პირველი საფორტეპიანო კონცერტი. სოლისტის ამპლუაში წარსდგება გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტი ანი ტაკიძე. კონცერტს წარუძღვება დირიჟორი რევაზ ტაკიძე.

ანი ტაკიძემ დაამთავრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა (პედაგოგ ლიანა ფირალიშვილის კლასი), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და ასპირანტურა (პროფესორ ნანა ხუბუტიას კლასი).

2002-04 წლებში ანი ტაკიძე იყო DAAD-ის სტიპენდიანტი და სწავლობდა მიუნჰენის უმაღლეს სკოლაში ფორტეპიანოს კლასში პროფესორ ფრანც მესინგერის ხელმძღვანელობით, კამერული ანსამბლის კლასში კი ჰელმუტ დოიჩთან. 2005 წელს გახდა მოსკოვის სვიატოსლავ რიხტერის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი.

ანი ტაკიძე ეწევა აქტიურ საკონერტო მოღვაწეობას როგორც სოლისტი და ანსამბლისტი, მონაწილეობს ისეთ ფესტივალებში როგორებიცაა: ოლეგ კოგანის სახელობის ფესტივალი კრეუტში (გერმანია, 2010), გიდონ კრემერის კამერული მუსიკის ფესტივალი ლოკენჰაუზში (ავსტრია 2011), „შემოდგომის თბილისი“ (2008), თანამედროვე მუსიკის ფესტივალი თბილისში (2008-2010).

ანი ტაკიძემ 2012 წელს ჩაატარა მასტერ-კლასები კონსერვატორიაში DAAD-ის პროგრამით და ჯაკარტის (ინდონეზია) კონსერვატორიაში. თანამშრომლობს ისეთ სიმფონიურ ორკესტრებთან როგორებიცაა ნიურნბერგის, მიუნჰენის, ტრიერის, მოსკოვის, დუბროვნიკის, თბილისის სიმფონიეტა; დირიჟორებთან: ჰიროიუკი ივაკი, მარკ მასტი, ერი კლასი, იური კოჩნევი, რობერტ კანეტი, ნორმან ვიჯაჯა, ვახტანგ კახიძე, რევაზ ტაკიძე, დავით კინწურაშვილი.

ავთანდილ გეძაური

◎ დაიჯესტი

მსხვილი, ტყვიამფრქვევი, უპრიცი...

ტაილანდში სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ ყველაზე მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის, ომის დროს სამშობლოს ღალატისთვის ან სამეფო ოჯახის წევრებზე თავდასხმისთვის, აგრეთვე ნარკოტკეებთან დაკავშირებით ზოგიერთი მუხლით. კანონით სიკვდილით არ სჯიან 18 წლამდე ასაკის დამნაშავეებს და ფეხმძიმე ქალებს. ამასთან, სიკვდილმისჯილს ბოლო, მეფის შეწყალების იმედიც აქვს...

სასჯელის უმაღლესი ზომა ტაილანდში უხსოვარი დროიდან არსებობს, იგი არც არასოდეს გაუუქმებიათ, თუმცა კი მისი ფორმები თანდათანობით უფრო ჰუმანური ხდებოდა. მაგალითად, თუ 1934 წლამდე სიკვდილმისჯილებს თავებს სპეციალური მახვილით კვეთდნენ, 2002 წლამდე მათ შაშხანებით ან ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ, 2003 წელს კი სასიკვდილო ინიექციები შემოიღეს.

დღესდღეობით ტაილანდის ციხეებში 658 სიკვდილმისჯილი პატიმარი იმყოფება, მათ შორის 591 მამაკაცი და 67 ქალი. მათგან ნახევარზე მეტს — 325 კაცს — სიკვდილი ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთან აქვს მისჯილი.

ნავთობის ხე

ფილიპინებში ერთი გასაოცარი ხე იზრდება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ხანგას“ უწოდებს.

თუმცა, ბოლო დროს მას ასევე „ნავთობის ხესაც“ ეძახიან. საქმე ისაა, რომ ხანგას ნაყოფის ქიმიური შემადგენლობა ძალიან ჰგავს... ნავთობის ქიმიურ შემადგენლობას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ხანგას პლანტაციების მოშენებით სავსებით შესაძლებელია ნავთობზე ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

◎ სათრეველა

მასზე, ვისაც პიტნა არ ეპიტნავება

მიზეზ-მიზეზ!

ქვეყანა რომ აგვირია,
რაღა დასამალია?!
ჩვენში უკვე ყველამ იცის,
მისი ალი-ბალია,
ნარცისიზმით მთვრალია და
შმაგი კანიბალია,
ჟურნალისტთა წკეპლიკები
მისთვის ცეცხლის ალია,
ვირს რომ ცხვირში პიტნას
ვტენით,
ეგებ, ამის ბრალია?

ალექსანდრე შენგელია

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

კურორტი. კაცი და ქალი. შეხვედრის პირველ დღეს კაცი ქალს მაჯაზე მოეფერა, მეორე დღეს იდაყვზე შეეხო, მესამე დღეს კი, როდესაც გაბედა და მხარზე მოუსვა ხელი, გაღიზიანებულმა ქალმა უთხრა, — თქვენ რა, გგონიათ, რომ აქ რამდენიმე თვით ვარ ჩამოსული?

* * *

ორი ტიპი ბაზრიდან ბრუნდება. უცებ ერთ მათგანს დიდმა გასაჭირმა შეახსენა თავი და ბუჩქებში შევარდა. მეორე გზაზე იცდის. ათიოდე წუთის შემდეგ ბუჩქებიდან ხმა ისმის:

— პეტკა, გაზეთი არა გაქვს?

— ოჰ, რა ძუნწი ხარ, ივან, რა ჭირად გინდა, ეგდოს მაქ!

* * *

— **ახალ** სამსახურში გადასვლისთანავე გადავაჩვიე თანამშრომლები თხოვნას, შენი მანქანით წაგვიყვანეო.

— როგორ?

— როგორ და, მივადგებოდით, მაგალითად, სვეტაფორს. მე ვეკითხები მათ, რომელი ფერი ანთია-მეთქი. ერთი კვირის მერე არავინ დამმგზავრებია...

* * *

— **თხილამურების** 55 ნომერი მაღალყელიანი ფეხსაცმელი გაქვთ?

— რომელი ნომერი???

— 55... რად გინდათ ასეთი ფეხების პატრონს თხილამურები?!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24